ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 19 აპრილი 1997 №44 (409) ფასი 40 თეთრი

**ჩემპიონატამდე 11 დღე დარჩა**

## დავითარსეთ!

### ყიფიანს ბიჭები შემოაკლდა



ერთი კვირაც და ჩვენი ნაკრებები ინგლისს გაემგზავრებიან. საქმე ისე აეწყო (უფრო სწორად, აირია), რომ ორივე გუნდის თავკაცებს თავიანთი პირვანდელი გეგმების გადასინჯვა მოუწევთ. დავითარსეთ და ეგაა: ფაქტობრივად, გზაზე მდგარი ნაკრების რამდენიმე წევრი ერთიმეორის მიყოლებით დაგვიშავდა. ლევან კობიაშვილის და მურთაზ შელიას ტრავმები უკვე შევიცხადეთ, ახლა კი ამათ ეროვნული გუნდის კაპიტანი კახა ცხადაძეც მიმატებია. კახას მარჯვენა ფეხი ადრეც აწუხებდა, მაგრამ „კრილია სოვეტოვ" — „ალანიას" სათასო მატჩში მაინც ითამაშა და 39-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა. წუხელ ტელეფონით ვლადიკავკაზს დავუკავშირდით, რათა ცხადაძის ამბავი შეგვეტყო. ვალერი გაზაევმა სანუგეშო ვერაფერი გვითხრა: ცხადაძეს მარჯვენა ფეხის კუნთი აქვს დაზიანებული და სამკურნალოდ ორი დღე მაინც დასჭირდებაო. ისაც დასძინა, თქვენი გულისტკივილი კარგად ვიცი, მაგრამ ცხადაძის ბედი მეც არანაკლებ მაღელვებს, ვნახოთ, კახა ეს ორი დღე დაისვენებს და შეიძლება საგანგაშო არაფერი იყოსო.

ლავიწდაზიანებულ ლევან კობიაშვილს, ექიმთა ვარაუდით, გუშინ უნდა ამოეღო ნაკერებიდან ძაფი და იქ „ჩამონტაჟებული" რკინები. ლევანი თბილისს გუშინვე დაბრუნდა და ჩვენს იმედებს ცივი წყალი გადაასხა. პროცედურა 27 აპრილისთვის გადაიდო, მანამდე ვერაფრით ხერხდება, ასე რომ, ინგლისში ვერ მივდივარ — გვითხრა დაღონებულმა კობიმ.

მურთაზ შელიას ფეხიდან სისხლი კი გამოუღეს, მაგრამ შევიტყვეთ, რომ ნაწყლულევი ჯერ კიდევ აწუხებს. შელია ვლადიკავკაზს 20 აპრილს მიემგზავრება, მანამდე კი ეროვნული გუნდის ექიმებთან წამლობს. მკურნალები იმედოვნებენ, რომ მურთაზს საინგლისოდ ფეხზე დააყენებენ.

გასახარი ისაა, რომ გამოგვიკეთდა ახალგაზრდული ნაკრების შახტიორელი ფორვარდი მიხეილ ფოცხვერია. შეგახსენებთ, რომ მიშამ ბათუმში ცეესკასთან ამხანაგურ მატჩში კოჭი დაიშავა და ერთი ხანობა ვერ ვარჯიშობდა. როგორც ახალგაზრდულის თავკაცებმა გვაცნობეს, ფოცხვერია მწყობრში ჩამდგარა და მთელი დატვირთვითაც ვარჯიშობს.

ახალგაზრდული ნაკრების მეორე ტრავმირებული, აუგსბურგელი ვახტანგ იაგორაშვილი სამ კვირაზე მეტია, ვერ ვარჯიშობს. იგიც ფეხის ტკივილს უჩივის და საინგლისოდ ალბათ ვერ შეგვეშველება.

რაც შეეხებათ დანარჩენებს, ღმერთმა კარგად ამყოფოს და, ყველა ჯანზეა.

## გესქოინი — ან ჰო, ან არა

როიტერის სააგენტოს ცნობით, პოლ გესქოინი, როგორც ჩანს, 30 აპრილის თამაშს გამოტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სამშაბათს „რეინჯერსს" დაუბრუნდა. თუ გლენ ჰოდლი გარისკავს და საეჭვო ფორმაში მყოფ 29 წლის ფეხბურთელს მაინც ათამაშებს, სხვა ამბავია, თუ არადა, გესქოინს ნაკრებში დასაბრუნებლად 31 მაისამდე ანუ პოლონელებთან შეხვედრამდე მოუწევს მოცდა. გაზამ შოტლანდიის პირველობაზე „რეით როვერსის" წინააღმდეგ შეცვლაზე შესულმა მხოლოდ 20 წუთი ითამაშა. ჰოდლს შეეძლო იგი მომავალ ოთხშაბათს, „დანდი იუნაიტედის" წინააღმდეგ მატჩში ენახა, მაგრამ ის თამაში გადაიდო.

## არა იცრუო

17 აპრილს ფეხბურთის ფედერაციაში სადისციპლინო კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა. უნდა განხილულიყო როგორც მსხვილმანი, ასევე ჩვეულებრივი, ყოველდღიური დარღვევები. ყველაზე საინტერესო „სამტრედიის" გახმაურებული და სკანდალური ამბავი გახლდათ, მაგრამ ამ საქმის გარჩევას ცალკე, საგანგებო სხდომა მიეძღვნა და ყველაფერი დახურულ კარს მიღმა გაირკვა. რა თქვეს, რა გადაწყვიტეს, ჟურნალისტებისთვის არაფერი უცნობებიათ, ის კი არა, ფედერაციისავე პრეს-ცენტრშიც არაფერი იცოდნენ ამის თაობაზე. რატომ ირჩია ფეხბურთის ფედერაციამ განაჩენის გასაიდუმლოება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ შუბი ხალათში არ დაიმალება. რადგან ფედერაცია დუმდა, ჩვენ ჩვენსას ვეცადეთ, მივდექ-მოვდექით და განაჩენი მაინც შევიტყვეთ. შეგახსენებთ, რომ სამტრედიელებს „მერანთან" თბილისში თამაშისას განაცხადში შეუყვანელი ფეხბურთელის მინდორზე სხვისი გვარით გამოყვანა დაუმტკიცდათ. ამისთვის იმერული კლუბი ასე დაისაჯა: დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს მთავარი მწვრთნელი ბადრი ქორიძე და მისი მარჯვენა ხელი დავით გენძეხაძე, 1:3 წაგების ნაცვლად კი 0:3 ჩაუთვალეს. სამტრედიელები არც ამას დააჯერეს და სოლიდური თანხითაც დააჯარიმეს. ვერაფერს იტყვი, განაჩენი საკმაოდ მკაცრია, მაგრამ მეტად ნაგვიანევი. მხოლოდ ის ვერ შევიტყვეთ, მწვრთნელები დროებით მოკვეთეს თუ ფეხბურთში მუშაობა საერთოდ აუკრძალეს.

სამტრედიელები დროულად რომ დაესაჯათ, მსგავს დარღვევას მეორეჯგუფელი „მამისონი" ალბათ ვეღარ გაბედავდა. ონელებმა ჭიათურელებთან მატჩში დისკვალიფიცირებული ფეხბურთელები სხვისი გვარით ათამაშეს. ცუღლუტობა არ შერჩათ, გახმაურდა და ფეხბურთის ფედერაციამ 1:1 0:3-ით შეუცვალა, თანაც კლუბის ხელმძღვანელებს

### სამტრედიას მაგრად მოხვდა, მამისონსაც

მწვრთნელებთან შემდგომი თანამშრომლობის საკითხის გარკვევაც ურჩია. კლუბის თავკაცებმა უახლოეს დღეებში უნდა აცნობონ ფედერაციას მწვრთნელთა გუნდში დარჩენა-არდარჩენის ამბავი.

სადისციპლინო კომისიამ გაძევებულ და გაფრთხილებულ მოთამაშეთა საქმეების განხილვაც განიზრახა, მაგრამ მერე თავი შეიკავა და მუშაობა დამთავრებულად გამოაცხადა, რადგან ჩათვალა, ეს საკითხები სათანადო დონეზე მომზადებული არ არისო.

## რას იზამს გიო?

### საკითხავი, აი ეს არის!

„სარბიელის" თანამშრომლები ფრიად კმაყოფილნი დავრჩებით, თვეში 1333 დოლარი ხელფასი რომ გვქონდეს. თქმა არ უნდა, ჩვენი მკითხველების უმრავლესობაც არ იტყვით უარს ასეთ გასამრჯელოზე. ეს წელიწადში დაახლოებით 16 ათას დოლარს შეადგენს. კარგი ფულია, ღმერთმანი...

რა ჯამაგირი და პენსია აუტყდათო, იტყვის მავანი. არა, ხელფასს დანატრებული კუზბასელებივით მიწაში ჩასვლა და იქ დარჩენა ჩვენთვის ჯერ ნაადრევია. უბრალოდ, იმის თქმა გვინდა, რომ 16 000 დოლარი კაი ხელა თანხაა. წელიწადშიც კი. და ამდენი რომ კვირაში გქონდეს კაცს?

მოკლედ, გუშინ „მანჩესტერ სიტიმ" თავის ქართველ ვარსკვლავს გიო ქინქლაძეს სწორედ ამდენი, კვირაში 10 ათასი გირვანქა შესთავაზა, თუ ჩვენებური არსად წავა და ახალ, ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს კლუბთან. ეს „სიტის" ისტორიაში არნახული ხელფასია.

...სიტყვა სიტყვაა. ჩვენ მას პირობა მივეცით და თუ გიო წასვლას დააპირებს, ხელს არ შევუშლით, მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლამდე გვაქვს კონტრაქტი დადებული — ასეთია კლუბის ბოლო ოფიციალური განცხადება, რომელმაც გამოქვეყნებისთანავე შესძრა „სიტის" საგულშემატკივრო. ვისაც „ინტერნეტით" სარგებლობა შეუძლია, ნახოს, რა დღეში არიან გიოს თავგადაკლული გულშემატკივრები:

— არა, ეს არ უნდა მოხდეს: წინადადება შემომაქვს, ათი ათასობით ბარათი მივწეროთ გიოს და გული ავუჩუყოთ, ეგებ არ მიგვატოვოს — წერს ერთი.

— წერილები სულაც რუსულად ხომ არ დაგვეწერა, ერთ რუსს ვიცნობ და ის დაგვეხმაროთ — პასუხობს მეორე.

— რას ამბობ! იცი, რას ნიშნავს, ქართველს რუსულად რომ მიწერო? — აღშფოთებულია მეორის უგუნურობით მესამე.

და ასე შემდეგ.

ფანებს არ ჩამორჩება „სიტის" მწვრთნელი ფრენკ კლარკიც, გიოს დაყოლიება გუნდის მთავარ პრობლემად რომ ესახება. სწორედ მან თქვა გუშინ — ზოგი ამბობს, კვირაში 10 ათასი გირვანქა ნამეტანი ხომ არ არისო, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მას უკვე სთავაზობენ დაინტერესებული გუნდები.

ინგლისური პრესის ცნობით, არაინგლისურ კლუბთაგან გიოს გადაბირების აქტიური მცდელობით „ფიორენტინა" და „სამპდორია" გამოირჩევიან...



**ფუნქლი**

**გერმანიის ჩემპიონატი.**

ფორტუნა 1:1 დუისბურგი
ჰანზა 1:0 გლადბახი

მეორე ბუნდესლიგა

მაინცი 2:0 მანჰაიმი
ვოლფსბურგი 1:1 ცვიკაუ

**ჰოლანდიის ჩემპიონატი**

აიაქსი 5:0 ნაიმეგენი

## დღეს ბოლო შანსი გაქვთ!

დღევანდელ „სარბიელში" მთავრდება საფეხბურთო კონკურსი, რომლის გამარჯვებულიც ესპანეთში გაემგზავრება. ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა ხვალინდელი 16 საათია.

## ჩვენი ბედი რუსის ხელშია

საქართველოს ჭაბუკმა კალათბურთელებმა ორი გამარჯვებით დაიწყეს ტალინში მიმდინარე 1980 და მომდევნო წლებში დაბადებულთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. პირველივე ტურის შეხვედრა ჩვენებისთვის ძნელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ მასპინძლებს, ესტონელებს ეთამაშნენ, მაგრამ ივარგეს და 8 ქულით — 84:76 გაიმარჯვეს. ხელწამოსაკრავი არც მეორე მეტოქე — ჰოლანდიის ნაკრები იყო და აკი თამაშიც ერთობ დაძაბული გამოდგა: მატჩის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, ჩვენები კი ჰოლანდიელებს 7 ქულით ჩამორჩებოდნენ. აქ გუნდის კაპიტანმა გიორგი გაგნიძემაც იყოჩაღა და მისმა თანაგუნდელებმაც — გიორგიმ მოიერიშე მეტოქეებს სამჯერ აართვა ბურთი, მისიანებმა კი შეტევაში იხეირეს და საბოლოოდ ჩვენებმა 77:71 მოიგეს. ამ გამარჯვებაში ლომის წილი ვლადიმერ ბოისამ დაიდო — 37 ქულა მიითვალა. მესამე ტურში კი მოხდა ის, რაც ჯერ კიდევ ტალინში გამგზავრებამდე აფიქრებდა საქართველოს ნაკრების მწვრთნელს თამაზ ოქრუაშვილს. სპეციალისტები ამბობენ, ჭაბუკთა ასეთი ძლიერი ნაკრები რუსებს მას შემდეგ აღარ ჰყოლიათ, რაც ამ ასაკის სსრკ ნაკრებში საბონისი და ტიხონენკო გამოდიოდნენო, გვითხრა ოქრუაშვილმა შეჯიბრებისთვის მზადების პერიოდში და აკი აუხდა კიდეც ნათქვამი, რუსებმა ქართველებს 35 ქულით დაათმობინეს ეს შეხვედრა — 65:100. დღეს ჩვენებს რუმინელებთან უნდა ეთამაშათ, მაგრამ დასვენება უწევთ — ესენი ტურნირზე არ ჩამოსულან, ხვალ კი ფინელებთან თამაშის ჯერია.

ვინაიდან მომდევნო შესარჩევ ეტაპზე სამი გუნდი გადის, საქართველოს ნაკრებს ამ სამეულში მოხვედრის საკმაო შანსი აქვს. ეს იმ ვარაუდით, რომ რუსების მართლაც ძლიერი გუნდი ჩვენგან ძლეულებსაც დაამარცხებს.

## რუსთავი 2

# 90-ის ნაცვლად 115 წუთს გვპირდება

ინგლისისა და საქართველოს ნაკრებთა შეხვედრამდე, რომ ვერ წარმოგვედგინა, ერთი ისეთი ამბავი უკვე მოხდა — ტელეკომპანია „რუსთავი 2" ამ მატჩის პირდაპირ ქართულ ტელერეპორტაჟს დაგვპირდა. ამ ჩვენთვის სენსაციურმა სიურპრიზმა სასიამოვნოდ ააფორიაქა ქართველი გულშემატკივრები და არაერთი კითხვითაც შეგვეხმიანა, მართალია ეს ამბავიო. რაიმე ცვლილება ან სიახლე ხომ არ არის ინგლის — საქართველოს მატჩის ტელეტრანსლიაციასთან დაკავშირებით? ამ კითხვით დავიწყეთ საუბარი ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის პრეზიდენტ ეროსი კიწმარიშვილთან.

— ჯერ არანაირი სიახლე ან ცვლილება — მატჩი უეჭველად გადმოიცემა. მხოლოდ ერთ დეტალს დავაზუსტებ — ტელეტრანსლაციას დავიწყებთ არა ჩვენი დროით 24 საათზე, არამედ 10 წუთით ადრე და შემოგთავაზებთ ინგლისის ტელევიზიის მიერ მომზადებულ თამაშისწინა ნათარგმნ რეპორტაჟს, ბლიც-ინტერვიუებს. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ კომენტატორების საუბარს არ დაგაჯერებთ. სიურპრიზს შესვენებისთვისაც მოვიგონებთ, რეპორტაჟს კი თამაშის შემდეგაც, 15 წუთის მანძილზე გავაგრძელებთ. „უემბლიზე" ჩვენი ორი კომენტატორი იმუშავებს, მატჩის შემდეგ ისინი ორივე ნაკრების მწვრთნელთან და მოთამაშეებთან გასაუბრებას შეეცდებიან.

დამეთანხმებით, ყველას გვიჩნდებოდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, როდესაც თბილისის „დინამოს" „ლივერპულთან" ან „ფეიენოორდთან" შეხვედრის რეპორტაჟი მსაჯის სასტვენისთანავე წყდებოდა. არადა, როგორ გვაინტერესებდა, რა ხდება მატჩის შემდეგ, ანუ ის, რასაც ჩვეულებრივ გადასცემდნენ უცხოეთის ტელეკომპანიები. ჩვენ ამ ვაკუუმის შევსება და რეპორტაჟის დასავლური მეთოდი გვსურს გამოვიყენოთ. რა გამოგვივა, ყველა ნახავს. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ ნორმალურ რეპორტაჟს შემოგთავაზებთ.

**— კომენტატორები შეარჩიეთ?**

— რეპორტაჟს გაუძღვება გოგი ქავთარაძე, მას მიეხმარება გიგა ბოკერია. ისინი ჟურნალისტები კი არიან, მაგრამ სპორტში არაპროფესიონალები გახლავან. თავდაპირველად ასე ვფიქრობდით: ხომ არ გვეთხოვა რეპორტაჟის გაძღოლა კოტე მახარაძისთვის. ანაც „სარბიელის" ჟურნალისტებისთვის, ან კიდევ ახალფეხადგმულ კომენტატორებისთვის? ბოლოს მაინც ასე გადავწყვიტეთ: ისევ ჩვენს კადრებს დავეყრდნობით, რადგან ჩვენვე ვიტვირთეთ ესოდენ დიდი პასუხისმგებლობა. არ გვსურს, რეპორტაჟისას რაიმე ნაკლის შემთხვევაში პასუხისმგებლობა თავიდან მოვიხსნათ და სხვას გადავაბრალოთ, იმან ვერ ივარგაო. ჩვენი ბრალი იქნება, თუ რეპორტაჟი კარგი ვერ გამოვიდა და სხვასაც ვერაფერს დავაბრალებთ. თუ ქავთარაძემ და ბოკერიამ საქმეს თავი გაართვეს, ხომ კარგი. ისე, მომავალში შევეცდებით საამისოდ ან ხალხი მოვამზადოთ, ანაც სხვები მოვიწვიოთ. მარტო ფეხბურთითაც არ შემოვიფარგლებით.

**— ნაკრების სხვა თამაშების ტრანსლირებასაც ხომ არ აპირებთ?**

— რა თქმა უნდა, ვაპირებთ, ოღონდ შესაძლებლობის ფარგლებში და ერთის გათვალისწინებით: ჩვენ კომერციული ტელეკომპანია ვართ, სახელმწიფო არ გვაფინანსებს და ყველა მატჩს ამ კუთხით განვიხილავთ — რამდენად მომგებიანია მისი ჩვენება? გვილირს თუ არა მისი ყიდვა? ღმერთმა არ ქნას და, ხომ შესაძლებელია, ვთქვათ, პოლონეთთან შეხვედრის დროს მაყურებელს ამ მატჩისადმი ინტერესი იმდენად ჰქონდეს დაკარგული, რომ მის ჩვენებას აზრი არც ჰქონდეს. თუ ინტერესი იქნება, ბუნებრივია, შევეცდებით მაყურებელი გავახაროთ.

**— ადრე „რუსთავი 2"-ის გადაცემებს მხოლოდ თბილისისა და რუსთავის მცხოვრებნი უყურებდნენ. „უემბლიზე" მატჩსაც მხოლოდ ამ ქალაქებში იხილავენ?**

— 18 აპრილს ამ საკითხზე კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის მოადგილეს ოთარ ბიწაძეს ვესაუბრე. სხვათა შორის, რუსთავში გადამცემი მოგვპარეს და შესაძლოა, იქაც შეგვექმნას გარკვეული პრობლემები. ახლა ასეთი ვარიანტია: ჩვენ საქართველოს სატელევიზიო ქსელში ვართ ჩართულები, ამ ქსელში ჩართული 15 ტელეკომპანიის საშუალებით კი ქვეყნის მოსახლეობის სამ მეოთხედს შეუძლია თამაშის ხილვა, ოღონდ მხოლოდ ჩანაწერის. თუმცა, სარელეო ხაზით პირდაპირი რეპორტაჟის ჩვენებაც არ არის გამორიცხული.

**— მას მერე, რაც „უემბლიდან" პირდაპირი ტელერეპორტაჟის ამბავი გახმაურდა, თქვენს შეჭირვებანანახ ტელეკომპანიას მავანთაგან ზედმეტი „ყურადღება" ხომ არ უგრძნია? იქნებ სხვამაც მოინდომოს ასეთი გემრიელი ლუკმა?**

— შესაძლოა, ამაზე უკვე „მუშაობენ" კიდეც. ბუნებრივია, მავანთ გაალიზიანებს ის, რომ „რუსთავი 2"-მა თამაშის ჩვენების უფლება მიიღო. ეს ჩვენი რეკლამაა და არა მგონია, ეს ბევრს ახარებდეს. ამიტომაც ჩვენს საწინააღმდეგო ქმედებებსაც ველოდებით და თავსაც დავიცავთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ აკრძალულ ილეთებს არ ვიყენებთ და ოფიციალურად ვერავინ დაგვაბრკოლებს, მაგრამ არაოფიციალურად ეს შესაძლებელია. თუმცა, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს ხელმძღვანელთა გონიერების იმედი გვაქვს. სხვასთან ჩვენ ურთიერთობა არ გვაქვს.

### რა დროს ინგლისის ისტორიაა...

გიგა ბოკერიას, გოგი ქავთარაძისგან განსხვავებით, სპორტულ თემატიკაზე არ უმუშავია. ალბათ ამიტომაც შეხვედრას ქავთარაძე წარუძღვება, ბოკერია კი შეეშველება.

სპორტული ჟურნალისტიკისგან კარგა ხნის მოწყვეტის მიუხედავად, გოგი ქავთარაძე იმედოვნებს, რომ შეხვედრას ნორმალურად გაუძღვება.

— მაშინაც კი, როცა სპორტულ თემატიკაზე მუშაობა არ მევალებოდა, მუდამ სპორტის განყოფილებას ვეხმარებოდი. თანაც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ვარ და ვერკვევი კიდეც მიმდინარე საფეხბურთო ამბებში. რა თქმა უნდა, მე და გიგა სპორტში არაპროფესიონალები ვართ, თუმცა ეს არ გვაშინებს, მით უფრო, რომ პირდაპირ ეთერში გადაცემების გაძღოლის გამოცდილება გაგვაჩნია. მოკლედ, ეს საქმე ჩვენთვის უცხო ხილი არ არის.

როგორ გვსურს მატჩის გაძღოლა? შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ნაკლებად ვილაპარაკებთ ინგლისის ისტორიისა და კულტურის შესახებ, რასაც ჩვენი ცნობილი კომენტატორები აკეთებენ. ხშირია ზოგადი საუბრებიც, ვთქვათ, ბურთი დაარტყა იტალიის ნაკრების წევრმა, წააქციეს ქართველი და ასე შემდეგ. დამრტყმელისა და წაქცეულის კონკრეტული გვარები კი არ ვიცით. ეს ნაკლებმნიშვნელოვნად მიაჩნიათ. ჩვენთვის კი მისაბაძია თამაშის გაძღოლის ის სტილი, როდესაც კომენტატორი ზუსტად და დროულად გადმოსცემს თამაშის პერიპეტიებს, ხასიათს და მოთამაშეებშიც კარგად ერკვევა.

**მერაბ მამულაშვილი**



30 აპრილს „რუსთავი 2" პირველად მოაწყობს საფეხბურთო რეპორტაჟს „უემბლიდან"

## ჩალაძე ჰეთ-თრიქით იწყებს

### და ჰგონია, რომ ნაკრებში [illegible]

ლატვიის ჩემპიონატის პირველივე მატჩში რიგის „სკონტოს" ქართველმა თავდამსხმელმა დათო ჩალაძემ სამი გოლი გაიტანა. ასეთი დებიუტით ვერცერთი ქართველი ლეგიონერი ვერ დაიკვეხნის, ვერც ლატვიაზე ძლიერ და ვერც სუსტ ჩემპიონატში. დათოს გუშინ შევეხმიანეთ...

— ჩვენი მეტოქე ქართველებითვე დაკომპლექტებული „ვენდსპილი" იყო: კარში გრიშიკაშვილი იდგა, მამუკა წერეთელი წინა მცველად თამაშობდა, ჯელაძე და პერტია კი — წინ. არ ითამაშა მეხუთე ქართველმა — ცეზარ ხუროძემ. მოკლედ, 3:0 მოვიგეთ და გრიშიკაშვილს სამივე გოლი მე შევუგდე. რას იზამ, ფეხბურთი ფეხბურთია. მატჩის მერე სოსოს კრინტი არ დასცდენია.

— ლევან სილაგაძე ნაკრებშია მიწვეული, შენ კი განაცხადში რატომღაც არ ხარ...

— პირველად მესმის... ფედერაციიდან არაერთხელ შემეხმიანენ და საბუთების გამზადება მომთხოვეს. კიდევ ის შემიძლია გითხრათ, რომ ეს ძოძუაშვილმაც დამიდასტურა. საბუთები მზადაა და, როგორც ვიცი, 25 აპრილს რიგა — ლონდონის რეისით ლევან სილაგაძესა და ვენდსპილელ მამუკა წერეთელთან ერთად მივემგზავრები. სიტყვამ მოიტანა და, ორივემ კარგად ითამაშა, ჩემს გოლებში წერეთელს ბრალი არ მიუძღოდა — მე სხვა ფეხბურთელი მმეურვეობდა და ჩვენმა ახალშეძენილმა ფორვარდმა მიხოლაპმა ორჯერ ჩინებული პასით მეკარესთან პირისპირ გამიყვანა. მესამე გოლი კი ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ გავიტანე. ამ მოგებამ ყველა აალაპარაკა და უმალ ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატად შეგვრაცხეს ლატვიის 9 გუნდიან და სამწრიან ჩემპიონატში. მართალი გითხრა, სამ გოლს არ ველოდი.



მაგრამ კარზე ისე ვიყავი დაგეშილი და ისე მინდოდა პირველივე მატჩში გამეტანა, რომ...

**მამუკა კვარაცხელია**

P.S. გუშინ გვიან ღამით დავუკავშირდით ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვოვა გუცაევს, რომელმაც გვითხრა, კანდიდატთა სიაში არავითარი ცვლილება არ არის და ჩალაძე ნაკრებში არ აგვიყვანიაო...


## საუკეთესო საფეხბურთო ვიდეოკასეტები







1. გიო და „მანჩესტერ სიტი".

ეს ფილმი უნდა ნახოთ და დარწმუნდეთ, თუ ვინაა ქინქლაძე.

2. „80-იანი წლების „ლივერპული".

დალგლიში, სუნესი, ნილი, მაკდერმოტი, კლემენსი — ახლა ისინი ცნობილი მწვრთნელები არიან, 80-იან წლებში კი უძლეველი „ლივერპულის" წევრები იყვნენ. ფილმში ამ გუნდის „ოქროს ხანის" საუკეთესო მატჩებსა და ცხადია, ასობით გოლს ნახავთ.

აღმაშენებლის 98. მაღაზია «თეატრონი»

## მეტი ობიექტურობა და ნაკლები პრეტენზიები, ბატონებო!

ამა წლის 8 აპრილს, „სარბიელში" გამოქვეყნდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამართული პრეს-კონფერენციის ანგარიში სათაურით „ფეხბურთის ფედერაცია პოლიციას, ომონს, მოქალაქეთა კავშირს და სამთავრობო დაცვას ადანაშაულებს"...

აღნიშნულ ინტერვიუში ფედერაციის კომერციული სამსახურის უფროსმა, ბ-ნმა რევაზ შავდიამ უკმაყოფილება გამოთქვა 30 მარტს ეროვნულ სტადიონზე გამართული საქართველო-სასომხეთის საფეხბურთო მატჩის დაწყების წინ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მისული ძალოვანი სტრუქტურების არაპროფესიული მოქმედების გამო, რომლის შედეგადაც სტადიონზე მოხვდა უამრავი უბილეთო მაყურებელი და რაც მთავარია საფრთხე შეექმნა სტადიონის შესასვლელში მოზღვავებულ მაყურებელს. როგორც ინტერვიუდან ირკვევა, სტადიონზე შესვლის ორგანიზაცია დავალებული ჰქონდა სწორედ რევაზ შავდიას და ამდენად გასაგებია მისი, როგორც ორგანიზატორის გარკვეულწილად სამართლიანი აღშფოთება აღნიშნული პრობლემის გამო, რომელიც სამომავლოდ, თავისთავად ცხადია, საკმაოდ სერიოზულ და საფუძვლიან განხილვას მოითხოვს. სხვათაშორის, ინტერვიუს ბოლოს ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ჟურნალისტმა მამუკა კვანტალიანმა, რაც, ვფიქრობთ, ფრიად საგულისხმო და მრავლისმეტყველი ფაქტია, რამდენადაც ამ შემთხვევაში ჟურნალისტური თვალსაზრისი და პოზიცია საკმაო კომპეტენტურობით გამოირჩევა, რასაც სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ბ-ნ რევაზ შავდიას მიმართ. საქმე ის არის, რომ ბ-ნი რევაზი საოცარ დილეტანტიზმსა და, რბილად რომ ვთქვათ, არნახულ უმადურობას ამჟღავნებს აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში, რაც პირველ რიგში, ამ მატჩზე შსს აკადემიის კურსანტებისადმი დაკისრებული მოვალეობის აბსოლუტური უცოდინარობით არის განპირობებული. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბ-ნმა გელა ლანჩავამ მოიყვანა შსს აკადემიის სამასი კურსანტი და სამასივე ტრიბუნებზე მოკალათდა" (ალბათ აქ ბატონი რევაზ შავდია გულისხმობდა, რომ ბ-ნმა გელა ლანჩავამ აკადემიის კურსანტები სტადიონზე მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთის ფანატიკური სიყვარულის გამო მოიყვანა). ბ-ნი რევაზისთვის ალბათ არ არის ცნობილი, რომ შსს აკადემიის კურსანტები ანალოგიური რანგის საფეხბურთო მატჩების დროს სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ უშუალოდ სტადიონის ტრიბუნებზე და სწორედ იგივე მოვალეობა ჰქონდათ მათ დაკისრებული საქართველო — სასომხეთის მატჩზეც. მათთვის სტადიონის შესასვლელების გადაკეტვა და მით უმეტეს უბილეთო მაყურებლების კონტროლი არავის დაუვალებია და თუ რატომ ვერ შეძლეს დანარჩენმა სამსახურებმა სათანადო წესრიგის დამყარება, ეს ალბათ ცალკე საკითხია. ასე რომ, ვიდრე ბ-ნი რევაზი შსს აკადემიის კურსანტების მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამდა, ალბათ უმჯობესი იქნებოდა, დაეზუსტებინა, რა კონკრეტული დავალება ჰქონდა მიცემული მატჩის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი სამსახურების თითოეულ დანაყოფს. თორემ გამოდის, რომ ახალგაზრდა კურსანტებს, რომლებიც პირველ პროფესიულ ნაბიჯებს დგამენ და პირნათლად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, მადლობის და წახალისების ნაცვლად საყვედურობენ და გარკვეულწილად უნდობლობასაც უცხადებენ.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ სამომავლო მსგავს შემთხვევაში სათანადო ორგანოების მიერ ზედმიწევნით იქნება გააზრებული და განაწილებული თითოეული სამსახურის ფუნქცია-მოვალეობანი და მათ მიმართ უსაფუძვლო პრეტენზიები და ზედმეტი ამბიციები აღარ განმეორდება.

**ბორის ძნელაძე**
შსს აკადემიის პრესსამსახურის უფროსი

P.S. სხვათაშორის, ბატონ რევაზ შავდიას გვსურს ვაცნობოთ, რომ მის მიერ ინტერვიუში მოხსენიებული ე.წ. ომონი საქართველოში კარგა ხანია აღარ არსებობს და ანალოგიურ სამსახურს დღეისთვის „სპეციალური დანიშნულების რაზმი" ეწოდება.

# უემბლი: ბედი თუ ბედისწერა?



ჩემპიონატის ბოლო ტურებში კახა გოგიჩაიშვილი კვლავ „დინამოს" ლიდერად მოგვევლინა. სწორედ მისმა გოლმა გაამარჯვებინა დღემდე უცვლელ ჩემპიონს უშულო კონკურენტ „ბათუმთან". „ტორპედოსთან" მატჩში საერთოდ აიწყვიტა და სტუმართა დაცვის „თავის წილი" ერთობ შეაწუხა. ეს ყოველივე იმიტომ გავიხსენე, რომ „უემბლიმდე" თითებზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა და ნაკრების თითოეული წევრის მომზადების დონე, ბუნებრივია, ძალიან გვაინტერესებს. ამ თვალსაზრისით გასახარია, რომ ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი წევრი ფორმას იბრუნებს. თუმცა, თავად კახა თვლის, რომ ტრავმამდელი სილაღე ჯერ არ აღუდგენია.

— ბოლო თამაშებია, ვგრძნობ, ნელ-ნელა შევდივარ ფორმაში, მაგრამ ეს მაინც არ მაკმაყოფილებს. ტრავმამდე უკეთესად ვთამაშობდი. თუმცა, 30 აპრილამდე ჯერ კიდევ ორი კვირაა და ვიმედოვნებ, ამ პერიოდში სათამაშო პიკს მივაღწევ.

**— იმ დონესაც ინგლისელებთან ტოლ-სწორად თამაშის საშუალებას რომ მოგცემს?**

— რა თქმა უნდა, აბა, საქართველოს პირველობის მიხედვით თუ ვისმჯელებთ, შორს ვერ წავალთ.

**— ბუნებრივია, ყველანი „უემბლის" მატჩის მოლოდინში ვართ, შენი აზრით, შესაძლებელია ინგლისელებთან გამარჯვება?**

— წინასწარ ძნელი სათქმელია, რა მოხდება და როგორ დასრულდება თამაში, იმედი მაქვს, რომ ლონდონში უკეთ ვითამაშებთ, ვიდრე თბილისში.

**— ეგ იმედი რას ემყარება?**

— ინგლისელები, ალბათ, შინ უფრო გაიხსნებიან, ჩვენც თავისუფლად თამაშის მეტი საშუალება მოგვეცემა და იმედია, იქ მაინც გამოჩნდება, რისი უნარი შეგვწევს, არც ისეთი სუსტები ვართ, თბილისიდან წასულ ინგლისელებს რომ ეგონათ.

**— ერთი სიტყვით, იმედს კონტრშეტევებზე ამყარებ?**

— ტაქტიკის არჩევა მწვრთნელის საქმეა, თუმცა, ჩემი აზრით, ასე აჯობებს. რაც მთავარია, მასპინძლები უნდა შევბორკოთ, თავისუფლად გადაადგილების საშუალება მოვუსპოთ, ჩვენი მხრივ კი კონტრშეტევის უმცირესი შესაძლებლობებიც გამოვიყენოთ. ვფიქრობ ასე თუ მივაღწევთ წარმატებას.

**— 9 ნოემბრამდე ნაკრების წევრთაგან იმედიანი სიტყვები გვესმოდა, სინამდვილე კი ძალიან მწარე გამოდგა. შენი აზრით, გამარჯვების რწმენას რეალური საფუძველი აქვს? გულშემატკივართა ნაწილი ამას არარეალურად მიიჩნევს.**

— არ არსებობს კლუბი ან ნაკრები, რომლის დამარცხებაც არ შეიძლება. ეგაა, ისეთი უნიათო თამაშით, 9 ნოემბერს რომ ვაჩვენეთ, ვერ მოვიგებთ. საამისოდ სრული მობილიზაცია დაგვჭირდება. მით უფრო, რომ ახლა გადამწყვეტი თამაში მოგველის და მაქსიმუმზე უნდა ვიფიქროთ. თუ ეს შევძელით, ამას რა აჯობებს.

**— ტრავმის მერე მოედანზე შიში ხომ არ დაგჩემდა? ასეთი რამ ბევრ ტრავმამოშუშებულ მოთამაშეს ემართება...**

— ბუნებრივია, ტრავმამ თავისი დაღი დამაჩნია. რაც უნდა იყოს, მძიმე, ძალიან მტკივნეული ტრავმა იყო და თავიდან სიფრთხილესაც ვიჩენდი. მაგრამ ბოლო თამაშებში შიში გამიქრა და ვცდილობ, მასზე აღარც ვიფიქრო, ორთაბრძოლებსაც აღარ ვერიდები, რათა შიშის სინდრომი მოვიხსნა.

**— „ბათუმთან" ბოლო წამებზე გატანილი გოლით წერტილი დაუსვი კამათს — წელსაც გახდება თუ არა „დინამო" ჩემპიონი. ეს გოლი შენთვის, უეჭველია მეტად ძვირფასი იყო?**

— რა თქმა უნდა, ჩემთვისაც ასეა და „დინამოსთვისაც". ამ თამაშის შედეგზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ახლა კი ჩემპიონობა, ფაქტობრივად, გარანტირებული გვაქვს. სასწაული უნდა მოხდეს, პირველობა რომ დავკარგოთ.

**— ნაკრებს დავუბრუნდეთ. არსებობს ასეთი მოსაზრება: ინგლისელები ჩემპიონატში უამრავ შეხვედრებს ატარებენ, სეზონის ბოლოს იღლებიან, ეს ფაქტორი კი ჩვენს სასარგებლოდ იმოქმედებსო. იზიარებ ამ მოსაზრებას?**

— არა მგონია, ფორმაში არ იყვნენ, თუმცა, ფორმის პიკში, წესით, არ უნდა დაგვხვდნენ. მათი ჩემპიონატის ამბავი რომ ვიცი, თითქმის ყველა შეხვედრაში ომია და, ბუნებრივია, მძიმე სეზონი კვალს დაატყობთ. 9 ნოემბერს პირიქით, ცინცხლად გამოიყურებოდნენ და ეს ჩანდა კიდეც. ასე რომ, ეს ფაქტორი მართლაც გასათვალისწინებელია. თუმცა, ვნახოთ, რა იქნება. წინასწარ ძნელია ამ თემაზე ლაპარაკი, მხოლოდ ინგლისელთა გადაღლის იმედად ყოფნა შორს ვერ წაგვიყვანს. ჩვენივე თამაშით უნდა მივაღწიოთ წარმატებას.

**— მოთამაშეთა ნაწილისთვის სავსე ტრიბუნები დიდი სტიმულია, ნაწილი კი ითრგუნება. შენზე როგორ მოქმედებს გულშემატკივრის ფაქტორი?**

— ძალიან კარგად. უემბლისნაირ სტადიონზე თამაში დიდი სტიმულია, მით უფრო, რომ მთელი მსოფლიო გვიყურებს და ვინ იცის, როდისღა მოგვიწევს „უემბლიზე" გასვლა. ასეთი შესაძლებლობა, შესაძლოა, ცხოვრებაში ერთხელ მოგვეცეს და რისი უნარიც შეგვწევს, სრულიად უნდა გამოვავლინოთ. სხვის ნაცვლად ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ მგონია, რომ არც ერთ ჩვენგანს „უემბლიზე" ინგლისელ გულშემატკივართა წინაშე შიში არ უნდა ჰქონდეს. ვფიქრობ, უფრო სტიმული მოგვეცემა. თანაც, ამ მატჩს მრავალი სელექციონერი დაესწრება და ერთმა კარგმა თამაშმა, შესაძლოა, რომელიმე ჩვენგანის ბედი რადიკალურად, უკეთესობისკენ შეცვალოს. ეს თითოეულმა ჩვენგანმა იცის და, ბუნებრივია, ესაც გვაგულიანებს.

**— პირადად შენც, ბუნებრივია, გსურს, ცეესკაზე უკეთესმა გუნდმა მოგიწვიოს.**

— რუსების ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ ჩემი ცეესკაში გადასვლა სულაც არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე ჩემთან მოსკოველთაგან არავინ მოსულა და არ დამლაპარაკებია. არც სხვა კონკრეტული წინადადება მიმიღია. ცხადია, პრემიერლიგაში თამაში უკეთესი იქნებოდა. ვნახოთ, რა იქნება, ყველაფერი ჩვენს თამაშზეა დამოკიდებული.

**მერაბ მამულაშვილი**

## ბევრია 5 ქულა ყურის აწევისთვის?

ერთ-ერთ წინა „სარბიელში" თელაველ გულშემატკივართა სახელით დაიბეჭდა წერილი „დაგვიბრუნეთ 5 ქულა". წერილის ადრესატი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გახლდათ, მაგრამ ზოგიერთ საკითხზე ჩვენს აზრსაც მოგახსენებთ.

თელაველთა წერილში გულისტკივილია გამოთქმული იმის გამო, რომ „კახეთის" მსგავსად სასჯელს სხვაც ბევრი იმსახურებს, მაგრამ დასჯით მხოლოდ კახელები დაისაჯნენ. ამაზე ერთს ვიტყვით: ყველამ თავისი დანაშაულისთვის უნდა ზღოს. ვისაც სხვა მაგალითი აინტერესებს, „სიონი" — „კოლხეთის" ამბებს შევახსენებთ.

ახლა ისიც ვთქვათ, რამდენად სამართლიანია თელაველთა მსგავს საქციელზე ბრძოლით მოპოვებული 5 ქულის დაკლება.

როცა „კახეთს" ქულები ჩამოართვეს, „სიონს" კი მოგებულ შეხვედრაში წაგება ჩაეთვალა, მაშინვე ვწერდით, ეს ორი გუნდი გასაგდებად გაიწირაო. თუ კი კახელებს ახლაღა გაახსენდათ დანაკარგი, „სიონი" თავიდანვე მისტიროდა „უსამართლოდ" წართმეულ 3 ქულას, მაგრამ ასე რომ არაფერი გაუვიდა, თამაშს მიუბრუნდა და ახლა სულაც აღარ ფიქრობს გავარდნას.

ზემოხსენებულ წერილში ერთი რამ მოხვდებოდა კაცს თვალში: რა გახდა მსაჯისთვის ყურის აწევა და თავში ჩარტყმაო. რა უნდა ვთქვათ? მსაჯები ის ხალხია, სხვადასხვა დროს ყველა ჩვენგანი რომ გაუნაწყენებიათ, მაგრამ ისინიც ხომ ადამიანები არიან. წლევანდელ ჩემპიონატში, ბევრი აღნიშნავს, მსაჯობის დონე გაუმჯობესდაო. უდაოდ, ეს სწორედ მინუს ხუთის დამსახურებაცაა. ერთი რომ, ყველა გულშემატკივარი ველარ ბედავს ზოგჯერ ცამდის მართალი მსაჯის შეხებას. მეორეც: თვითონ არბიტრნიც უფრო უშიშრად მსაჯობენ.

ასეთ დროს იმის თქმა, კახელებს პირველ ჯგუფში გუნდი რომ დაგვრჩეს, მალალურაძის ცემა შეგვაწიეთო, იმაზე დიდი უსამართლობაა, ვიდრე ასეთი საქციელისთვის 5 ქულის ჩამოჭრა. ხუმრობა როდია, წესიერად იმსაჯო და პენალტის დანიშვნით განაწყენებულმა ქომაგმა ყური აგიწიოს და თავში ჩაგცხოს. ამაზე უფრო დამამცირებელი საქციელი ბევრი არაა და იმის მტკიცება, ეს არას ნიშნავსო, მოჭარბებული სითამამეა.

რაც შეეხება მონათხრობს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ნოდარ ანდრიაძესთან გაბაასების შესახებ, ცოტა დაუჯერებულია. ნუთუ ასეთი მაღალჩინოსანი იმ დონეზე არ არის საქმეში ჩახედული, რომ თელაველებს ლამის კაპიტულაცია გამოუცხადა?

ჩვენი ფიქრით, თელაველთა თხოვნა, სხვა თუ არაფერი, დაგვიანებულია და მათი კლუბის მესვეურთა მიმართ შემხვედრი თხოვნა გვექნება, ყოველდღე ფედერაციაში ტრიალს გუნდთან მუშაობა ამჯობინონ. თორემ თუ მინდორზეც ისეთივე წარმატებით გააგრძელეს ასპარეზობა, როგორც ფედერაციასთან ხუთი ქულისთვის ჭიდილში, ეს ქულები რომც დაუბრუნონ, დასარჩენად ველარაფერში გამოადგებათ.

მაშ, ერთზე შევთანხმდეთ: სპორტულ პრინციპს და ფედერაციის დებულებას ნუ დავარღვევთ.

**მახტანგ ბზიკაძე**

## გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?

ERC

მოაკითხეთ, „ელიტა-ხკ"-ს. თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა, სტუდენტისათვის სასურველ ადგილზე და მისაღებ დროში.

გინდათ ერთ თვეში პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა ისწავლით? მოაკითხეთ „ელიტა-ხკ"-ს.

„ელიტა-ხკ"-ში შეიძენთ ლიტერატურას, კომპაქტ-დისკებს, აუდიო კასეტებს, რომლებიც ენის შესწავლაში დაგეხმარებიან.

მოაკითხეთ „ელიტა-ხკ"-ს ოფისს მეტრო დელისთან, ვაჟა-ფშაველას 44-ში, ან დარეკეთ 39-87-25

## ჩემპიონატი — 22 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გურია 1:0 ივერია

ლანჩხუთი. ცენტრალური სტადიონი
გურია: სულავა, ლურწკაია, თოლორდავა (ებრალიძე 72), კუკულაძე, ქიქავა, თ. გოგიჩაიშვილი, ცერცვაძე, განევი (ყანჩაშვილი 89), გვიანიძე, გელაძე, კ. სიდამონიძე
ივერია: აბაშიძე, ნეკერაშვილი, შ. ლაცაბიძე, გურამ ლომიძე (ქაჯაია 80), ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ტყემალაძე (გლუნჩაძე 58), ჩადუნელი, ზირაქაძე (კალმახელიძე 33), ნოვწიაძე, თორია
1:0 თოლორდავა (20)
გაფრთხილება: თოლორდავა, გოგიჩაიშვილი, შ. ლაცაბიძე
მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

### კახეთი 2:0 სიონი

თელავი. სტადიონი „გივი ჩოხელი"
კახეთი: ასალანაძე, ე. ალადაშვილი, კ. ნიკლაური, ტარულაშვილი, ჯიკაევი, ფოფხაძე, ჯაშიაშვილი (ბოქორიშვილი 85), ტოკლიკიშვილი (მესხიძე 80), შონია, ბაბულაიძე, ლვინიაშვილი (მაზანაშვილი 80)
სიონი: ჩლაიძე, გ. ჩომახიძე, ყაველაშვილი, ყიფშიძე, შაკიაშვილი, მ. სამხარაძე (მეფარიშვილი 82), ხოსროშვილი, ტარტარაშვილი, გოგოლაძე, ჯაგიდისი (ა. ქანტურია 82), მოსეშვილი
1:0 ფოფხაძე (39), 2:0 ბაბულაიძე (60)
გაფრთხილება: ჩომახიძე, ჯიკაევი.
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### კოლხეთი 1:0 გორდა

ფოთი. სტადიონი „ფაზისი"
კოლხეთი: გოგუა, ე. გვახალია, კაკაჩია, ტორჩინავა, გოროზია, ამაშუკელი, ფანჩულიძე, დ. მახარაძე (მ. ქობულაძე 87), ხოლოლაშვილი (მიქაბერიძე 62), დარასელია, ლალანიძე
გორდა: მ. ქორიძე (კოროშინაძე 57), ფაცურია, ბექაური, პატარიძე, სახვაძე, გაბელაია, მელაძე, არსოშვილი, კუდელაშვილი, თ. მეტრეველი, ჩელებაძე
1:0 მიქაბერიძე (82)
გაფრთხილება: ჩელებაძე, ქორიძე, გვასალია, ამაშუკელი, ფაცურია, ტორჩინავა
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

## მეორე ჯგუფი

### აღმოსავლეთი
### XXX ტური

ლოკომოტივი — თსუ 2 2:1, თორი — მესხეთი 3:2, აკადემია — დინამო 2 0:1, ავაზა — სამგორი 0:3, ქინერი — ცხინვალი 2:7, იბერია — 35 სტუ 5:0, არმაზი — მორკინალი 0:1, ასკ — დურუჯი 1:0, კოდაკო — ჭაბუკიანი 3:1, მრეტები — შირაქი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მორკინალი | 28 | 23 | 4 | 1 | 69:8 | 73 |
| ლოკომოტივი | 28 | 22 | 6 | 0 | 61:8 | 72 |
| ასკ | 28 | 20 | 1 | 7 | 58:33 | 61 |
| ცხინვალი | 27 | 19 | 1 | 7 | 57:27 | 58 |
| დინამო 2 | 28 | 17 | 5 | 6 | 80:21 | 56 |
| აკადემია | 28 | 14 | 7 | 7 | 60:26 | 49 |
| კოდაკო | 28 | 14 | 6 | 8 | 42:32 | 48 |
| არმაზი | 28 | 15 | 2 | 11 | 63:45 | 47 |
| შირაქი | 28 | 12 | 10 | 6 | 38:31 | 46 |
| იბერია | 28 | 14 | 2 | 12 | 43:36 | 44 |
| თორი | 28 | 13 | 4 | 11 | 34:45 | 43 |
| თსუ 2 | 27 | 10 | 1 | 16 | 32:53 | 31 |
| 35 სტუ | 28 | 7 | 8 | 13 | 39:50 | 29 |
| მრეტები | 28 | 6 | 7 | 14 | 31:47 | 25 |
| სამგორი | 28 | 8 | 4 | 16 | 35:60 | 23 |
| მესხეთი | 28 | 6 | 3 | 19 | 35:68 | 21 |
| დურუჯი | 28 | 4 | 5 | 19 | 17:69 | 17 |
| ქინერი | 28 | 6 | 3 | 19 | 36:34 | 16 |
| ჭაბუკიანი | 28 | 3 | 6 | 19 | 22:51 | 15 |
| ავაზა | 28 | 2 | 3 | 23 | 22:70 | 9 |

### დასავლეთი
### XXIV ტური

ბათუმი 2 — კოლხეთი 2 0:0, საპოვნელა — სამეგრელო 4:0, მალაროელი — მეშახტე 1:0, ეგრისი — მერცხალი 1:0, სალხინო — იმერეთი 1:0, ტორპედო 2 — ოდიში 2 0:4, ოლიმპია — სულორი 1:0, კახაბერი — მამისონი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 22 | 21 | 0 | 1 | 70:15 | 63 |
| მერცხალი | 22 | 17 | 1 | 4 | 55:22 | 52 |
| მეშახტე | 21 | 17 | 1 | 3 | 43:17 | 52 |
| ოლიმპია | 23 | 12 | 1 | 10 | 44:41 | 37 |
| საპოვნელა | 23 | 9 | 7 | 7 | 42:34 | 34 |
| სამეგრელო | 23 | 9 | 6 | 8 | 44:42 | 33 |
| კოლხეთი 2 | 22 | 11 | 4 | 7 | 36:15 | 32 |
| სალხინო | 22 | 10 | 2 | 10 | 33:32 | 32 |
| იმერეთი | 22 | 10 | 2 | 10 | 38:37 | 32 |
| სქური | 22 | 8 | 5 | 9 | 33:33 | 29 |
| სულორი | 23 | 8 | 4 | 11 | 27:33 | 28 |
| ბათუმი 2 | 22 | 6 | 4 | 12 | 23:35 | 22 |
| ეგრისი | 22 | 7 | 5 | 10 | 25:32 | 21 |
| ტორპედო 2 | 22 | 5 | 3 | 14 | 20:49 | 18 |
| მამისონი | 20 | 4 | 3 | 13 | 28:50 | 15 |
| კახაბერი | 23 | 4 | 3 | 16 | 24:79 | 15 |
| ოდიში 2 | 22 | 3 | 3 | 16 | 14:33 | 12 |

## საფრანგეთი

XXXIII ტური

**ლილი 1:2 კანი**
0:1 დაური (41), 1:1 ბეკანოვიჩი (69), 1:2 შარვე (87)

**ოსერი 2:0 ლე ავრი**
1:0 სილვესტრი (8), 2:0 საიბი (89)

**ბორდო 2:1 მონაკო**
1:0 პაპენი (50), 2:0 პაპენი (61), 2:1 შიფო (90 პ)

**კაენი 1:1 ნანსი**
1:0 ერბე (8), 1:1 მუსტაიდი (19)

**ნიცა 1:2 ლანსი**
1:0 ზაუში (8), 1:1 შმიცერი (49), 1:2 დებევი (82)

**რენი 2:1 ლიონი**
1:0 პაური (14), 2:0 დაბო (45), 2:1 გავა (87)

**მარსელი 2:2 მონპელიე**
0:1 რიზეტო (42), 1:1 ჯამბეი (48), 1:2 ბაკაიოკო (50), 2:2 გრაველინი (89)

**სტრასბური 0:1 ნანტი**
0:1 ლე რუ (74)

**მეცი 2:0 გინგამი**
1:0 როდრიგესი (20), 2:0 პირე (81)

**ბასტია 1:1 პსჟ**
0:1 ლოკო (14), 1:1 მორაჭჩიკი (25)

# მონაკო ჯომოლუნგმას წინააღმდეგ

1963-64 წლების სეზონში „მონაკომ" საფრანგეთის ჩემპიონობაც მოიპოვა და თასიც. შესაბამისად, მომდევნო სეზონში გუნდი ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩაერთო, სადაც მეტოქედ მილანის „ინტერი" ერგო. პირველ შეხვედრაში იტალიელებმა 1:0 მოიგეს, მეორეში კი 3:1. ის მეორე მატჩი მარსელში გაიმართა, რადგან მონაკოს „ლუი მეორეს" სტადიონი იმ ხანად ერთი ციცქნა გახლდათ.

ასეთი იყო საფრანგეთის პირველობის დღევანდელი ლიდერის ევროდებიუტი 34 წლის წინ. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა: მონტე-კარლოელებმა კიდევ სამჯერ მოიგეს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და ახლა მეოთხე გამარჯვებასთან ძლიერ ახლოს არიან. აღარც ევროპულ შეჯიბრებებში გამოიყურებიან ხამად. 1992 წელს თასების თასის ფინალში იყვნენ, 1990 წელს იმავე შეჯიბრების ნახევარფინალში, 1994-ში კი ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში, სადაც იმ ხანად უძლიერეს „მილანთან" ერთთამაშიანი პაექრობა 0:3 წააგეს. შეგახსენებთ, რომ იმ სეზონში ჩემპიონთა თასის ნახევარნალში თითო შეხვედრა იმართებოდა, ფინალი კი „მილანმა" „ბარსელონას" 4:0 მოუგო.

როგორც მაშინ, 34 წლის წინ, „მონაკო" ახლაც „ინტერს" ებრძვის, ოღონდ თუ იმ ისტორიული შეხვედრისას მილანის გუნდი საფეხბურთო ჯომოლუნგმად მიაჩნდათ, ახლა პირველ შეხვედრაში 1:3 დამარცხება გაიკვირვეს და იწყინეს კიდეც. სამშაბათს „ლუი მეორეს" ჩინებულ სტადიონზე, რომელიც, მხილველთა თქმით, სპორტულ ნაგებობაზე მეტად თეატრს ჰგავს, უეფას თასის ნახევარფინალის განმეორებითი მატჩი გაიმართება. ფინალამდე ერთი ნაბიჯია.

ერთი ნაბიჯია, მაგრამ ურთულესი. მისი გადადგმა ისევე ძნელია, როგორც ჯომოლუნგმას მწვერვალთან, გაიშვიათებულ ჰაერში. „სან სიროზე" 1:3-ია წაგებული, მაგრამ 1:3 0:3 არაა და ჟან ტიგანას ბიჭებიც თავს ამით იმშვიდებენ. იქნებ სწორედ „ინტერთან" თამაშის წინ, ბორდოში განზრახ დაზოგეს ძალები. აკი, მიუხედავად მარცხისა, „პარი სენ ჟერმენს" მაინც 11 ქულით უსწრებენ. თუმცა ნურც ბორდოელებს ჩავუყრით გარჯას წყალში. მითუმეტეს, ამის ღირსი არაა ვარსკვლავყოფილი ჟან-პიერ პაპენი, რომელმაც ლიდერს ორი გოლი გაუტანა. პაპენისთვის ეს სეზონის მესამე დუბლია. აშკარაა, რომ 35 წლის ფორვარდს ჩვეულ ამპლუაში თამაში უჯობს შემტევ ნახევარმცველად თამაშს.



ნანტი — სტრასბური. მასპინძელი ედი კარპონი იანიკ როტისთვის ბურთისართმევას აპირებს

არადა ამ ფუნქციას მას ხშირად აკისრებენ.

„ბორდო", სხვათა შორის, მიმდინარე სეზონში ლიდერთმნგრეველია. ნოემბერში ცხრილის სათავეში „სენ ჟერმენი" რომ იდგა, „პარკ ლესკურზე" 3:5 წააგო. ახლა „მონაკოსაც" იგივე ბედი ეწია, ისაც დამარცხდა, ოღონდ 1:2.

50-ე წუთზე პაპენმა ანგარიში გახსნა. მან სტუმართა დაცვას თავი ოფსაიდში არ დაატოვებინა, ფაბიენ ბარტეზთან პირისპირ გავიდა და ზუსტად დაარტყა. თერთმეტ წუთში საფრანგეთის ეროვნული გუნდის ყოფილმა წევრმა ერთხელაც ჩაატარა ოსტატური დარტყმის გაკვეთილი. სტუმრებმა თავიანთი ერთადერთი გოლი მსაჯის მიერ წამატებულ დროს გაიტანეს — ბელგიის ნაკრების კაპიტანმა ენცო შიფომ უშეცდომოდ შეასრულა პენალტი.

„ნანტი" „პარი სენ ჟერმენს" თითქმის წამოეწია. ჟან კლოდ სიუდომ ის მოახერხა, რომ თავის ფეხბურთელებს 26 წაუგებელი თამაში გაარბენინა და გუნდი, რომელიც თავიდან ლამის ბოლო ადგილს ვერ სცილდებოდა, აპრილში მესამეზე გადაიყვანა. სტრასბურში ლე რუს გოლით გამარჯვებაც ამ ისტორიის მორიგი სერია გახლდათ.

ევროპული ნახევარფინალისთვის ემზადება „პარი სენ ჟერმენიც", რომელსაც ხუთშაბათს ლივერპულში შინ მოგებული 3:0-ის დაცვა მოუწევს. პარიზელებმა „ბასტიასთან" სტუმრად 1:1 ითამაშეს. მათ კარს ჩვეულებისამებრ იცავდა ცნობილი ბერნარ ლამა, რომელსაც იმ დღეს პლანის წევაზე განმეორებითი ტესტი უნდა ჩაებარებინა. თუ ლამას შარდში კვლავ უპოვნეს ნარკოტიკის კვალი, ორი თვით ჩამოაშორებენ ფეხბურთს. პსჟ-ს მწვრთნელმა რიკარდომ განაცხადა, ბერნარს დასვენების ნება დავრთე და ისიც „ბასტიასთან" მატჩის შემდეგ, კორსიკაზე მეგობრებთან დარჩაო. ხუთშაბათს პარიზელებმა საზოგადოებას წარუდგინეს ახალი შენაძენი, მეორე დივიზიონის „სენტ-ბრიუკიდან" გადაყვანილი 32 წლის მეკარე ფრანკ მანტუ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 33 | 20 | 8 | 5 | 59:25 | 68 |
| პსჟ | 33 | 15 | 12 | 6 | 47:27 | 57 |
| ნანტი | 33 | 14 | 14 | 5 | 53:28 | 56 |
| ბასტია | 33 | 15 | 10 | 8 | 46:38 | 55 |
| ბორდო | 33 | 14 | 12 | 7 | 50:35 | 54 |
| სტრასბური | 33 | 17 | 2 | 14 | 44:42 | 53 |
| ოსერი | 33 | 14 | 10 | 9 | 40:27 | 52 |
| მეცი | 33 | 13 | 11 | 9 | 34:26 | 50 |
| ლიონი | 33 | 13 | 10 | 10 | 44:46 | 49 |
| მონპელიე | 33 | 10 | 14 | 9 | 36:32 | 44 |
| გინგამი | 33 | 11 | 11 | 11 | 31:32 | 44 |
| მარსელი | 33 | 10 | 12 | 11 | 38:36 | 42 |
| კანი | 33 | 9 | 12 | 12 | 21:31 | 39 |
| რენი | 33 | 10 | 8 | 15 | 35:46 | 38 |
| ლანსი | 33 | 10 | 8 | 15 | 36:49 | 38 |
| ლე ავრი | 33 | 8 | 11 | 14 | 27:37 | 35 |
| ლილი | 33 | 8 | 9 | 16 | 30:53 | 33 |
| კაენი | 33 | 6 | 13 | 14 | 29:42 | 31 |
| ნანსი | 33 | 7 | 9 | 17 | 28:44 | 30 |
| ნიცა | 33 | 4 | 8 | 21 | 26:58 | 20 |

# გერმანია ინგლისს ღალატში სდებს ბრალს

ერთი ნაღდია, 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. გაიმართება სადმე, ევროპაში, აფრიკაში ან სამხრეთ ამერიკაში. კონკრეტულად რომელ ქვეყანაში — აი, ესაა ბრძოლის საგანი. ფიფას ასე აქვს გადაწყვეტილი: თითო კონტინენტს თითო კანდიდატურა დაასახელებინოს, თავად კი 2000 წლის ივნისში აირჩიოს მათგან საუკეთესო. კონტინენტებზე კი რა ხდება? რა და, ერთგან ბრაზილია და არგენტინა ქიშპობენ, არა მე და არა მეო, მეორეგან სამხრეთ აფრიკა, ეგვიპტე და მაროკო, მესამეგან — კი ინგლისი და გერმანია.

ყველაზე საინტერესო და რთული დაპირისპირება ევროპაშია. ამის თაობაზე „სარბიელში" რამდენჯერმე ეწერა, მაგრამ ეტყობა კიდევაც ბევრჯერ დაიწერება. საქმე ისაა, რომ ორიოდ დღის წინ ჟენევაში უეფამ შეჰყარა ინგლისელი და გერმანელი საფეხბურთო მოხელეები, რათა უშუალო საუბრისას გაერკვიათ მტყუან-მართალ-გამარჯვებული, მაგრამ, რად გინდა.

— ინგლისს შეუძლია ბრძოლა განაგრძოს — თქვა უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა — ჩვენმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადასტურა, რომ ფიფა ნებას რთავს ყველა ქვეყანას შეიტანოს განაცხადი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე. რაიმე გადაწყვეტილებამდე ვერ მივედით. ბოლოსდაბოლოს გადაწყვეტა ჩვენ არც გვევალება.

ეს ერთობ უცნაური ნათქვამია, რამეთუ 1998 წლის ივნისში ფიფას კონგრესზე სწორედ უეფამ უნდა თქვას საბოლოო სიტყვა, თავისი ქვეყნებიდან ვის წარადგენს.

— ევროპის გახლეჩა არაფრად გვარგია — უთხრა ჟურნალისტებს ცნობილმა საფეხბურთო მოღვაწემ ფრანც ბეკენბაუერმა — არადა, საამისოდ წინ მთელი წელიწადი დაგვრჩა. დღეს მიღებული გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილება არცაა. ცდილობენ, ყველაფერი ფიფას შეაჩეჩონ.

ამ საუბრებში გაიელვა ფრიად საგულისხმო ფრაზამ: „ჯენტლმენური მოლაპარაკება ჩაიშალა." რაზეა საუბარი?

გერმანელები ამტკიცებენ, რომ მათ და ინგლისელებს 1993 წელს ასეთი გარიგება ჰქონდათ: ინგლისი 1996 წლის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებდა, თავის მხრივ კი გერმანიას დაუჭერდა მხარს 2006 წლის მსოფლიოს პირველობის მასპინძლობისთვის ბრძოლაში. და უცებ, მხარდაჭერის ნაცვლად ინგლისმა პარტნიორს ლამის ომი გამოუცხადა.

— სიტყვა სიტყვა უნდა იყოს. ვწუხვარ, რომ ამ საკითხზე სხვა აზრიც ყოფილა. ვგონებ, სხვათაგან მორალური მხარდაჭერა ჩვენ გვეკუთვნის — განაცხადა გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა.

თავის მხრივ ილაპარაკა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრეს-ატაშემ დევიდ დევისმაც:

— მხოლოდ ერთი რამ დაგვიზუსტონ: ვინ, სად და როგორ დასდო ჯენტლმენური ფიცი. ჩვენ მართლები ვართ, ბოლო სიტყვა იმ მოლაპარაკებისას არ თქმულა. წამიერ, შუალედურ თანხმობებს ცხადია ძალა არ აქვს. ასეა თუ ისე, მსოფლიოში სიდიდით მეორე შეჯიბრების ჩატარების ადგილი ღიად და დემოკრატიულად უნდა გადაწყდეს. ფიფამ უნდა აირჩიოს საუკეთესო ვარიანტი, გერმანული იქნება ის, ინგლისური თუ სხვა.



## ავსტრია

27-ე ტური: ლინცერი — ავსტრია 2:2, რაპიდი — ლინცი 4:2, შტურმი — ადმირა ვაკერი 7:0, რიედი — ტიროლი 2:1, კაზინო — ზალცბურგი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 27 | 15 | 8 | 4 | 53:26 | 53 |
| ზალცბურგი | 27 | 14 | 9 | 4 | 33:13 | 51 |
| ტიროლი | 27 | 11 | 7 | 9 | 37:30 | 40 |
| შტურმი | 27 | 9 | 11 | 7 | 36:23 | 38 |
| ლინცერი | 27 | 8 | 13 | 6 | 29:26 | 37 |
| კაზინო | 27 | 8 | 11 | 8 | 28:32 | 35 |
| ავსტრია | 27 | 9 | 6 | 12 | 30:42 | 33 |
| რიედი | 27 | 9 | 4 | 14 | 34:46 | 31 |
| ლინცი | 27 | 5 | 8 | 14 | 19:35 | 23 |
| ადმირა ვაკერი | 27 | 5 | 7 | 15 | 25:51 | 22 |

## ფეხბურთის რუკასთან



**საფრანგეთს**, კერძოდ კი მარსელს, გააზრებული აქვს ფიფას პრინციპი — სტადიონები საფუძვლიანად უნდა აშენდეს — ასეთია ფიფას გენერალური მდივნის ზეპ ბლატერის აზრი. ბლატერმა მოინახულა მარსელის „ველოდრომი" და კმაყოფილი დარჩა იმით, თუ როგორ ამზადებენ მას მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. „მსოფლიოს პირველობა ერთდღიანი მოვლენა არაა და არც ცირკია, რომ წარმოდგენის დამთავრებისთანავე აშალოს კარავი" — თქვა მან.

**გერმანიის ჩემპიონს დორტმუნდის „ბორუსიას" როგორც ჩანს, გამოკლებულ ფეხბურთელთა ჯგუფი უბრუნდება. პერსონალური მეურვეობის დიდოსტატ იურგენ კოლერს კოჭი დაუამდა, გამთამაშებელმა ენდი მოილერმა გრიპი მოირჩინა, ფორვარდებს კარლ-ჰაინც რიდლესა და შტეფან შაპუიზას, აგრეთვე ლიბეროს მათიას ზამერს კი დისკვალიფიკაციის ვადა ამოეწურათ. ავად დარჩნენ პაულუ სოუზა და შტეფან როიტერი. რაც შეეხება ჰაიკო ჰერლიხს, იგი სათადარიგოთა შორის დასაჯდომადაა მზად. „მწამს, რომ შეგვიძლია ბუნდესლიგის ტიტულის მოპოვება. თუ „ბაიერნს" მოვუგებთ, ისევ ფავორიტები გავხდებით" — თქვა დორტმუნდელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა. მოთამაშეთა დაბრუნება ჰიცფელდისთვის ერთიორად მნიშვნელოვანია, რადგან ოთხშაბათს მის გუნდს ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში „მანჩესტერთან" აქვს სტუმრად სათამაშო.**

**არგენტინელ** სუპერვარსკვლავს 36 წლის დიეგო მარადონას წუხელ „ბოკა ხუნიორსთან" უნდა დაედო ახალი კონტრაქტი, რომლის თანახმადაც იგი თითო შეხვედრაში 50 000 დოლარს მიიღებს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დიეგო ვალდებული იქნება კონტრაქტშივე ჩაწერილი სხვა პირობები დაიცვას. კერძოდ, უნდა გაიაროს საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება — გასულ კვირას ჩილეს საავადმყოფოში თავის ამოყოფით ხომ ეროვნ[illegible] ლააშინა გულშემატკივრები. [illegible] ინფორმაციით, იგი გადაღლილი გახლდათ. გარდა ამისა, მარადონამ უნდა შეწყვიტოს [illegible] როგორც ექიმები ამბობენ, ისეთი ამოცანაა, რომელმაც შეიძლება მთელი ცხოვრებისთვის გამოყოფილი დრო შეიწიროს.

**ჰოლანდიის თასის ნახევარფინალში „ჰერენვენმა" 5:0 მოუგო „ჰელმონდ სპორტს", ხოლო „როდამ" „ვილემ II"-ს 1:0 სძლია.**

**დანიის** თასზე ნახევარფინალის განმეორებით მატჩში „სილკებორგმა" 1:2 წააგო „კოპენჰაგენთან", მეორე წყვილში კი გაიმარჯვა „იკასტმა", რომელმაც „ბრონდბიუს" სტუმრად 1:0 მოუგო.

**რიო დე ჟანეიროს პირველობაზე „ვასკუ და გამამ" „ვოლტა რედონდას" მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 და მე-6 წუთებზე ორი გოლი გაუტანა და 2:1 სძლია. ამის შემხედვარე, თავად „ვასკუს" ქომაგებმა სკანდალი ატეხეს, თამაში ჩაწყობილიაო. თამაშის მსაჯი „ვოლტას" აღელვებულმა მოთამაშეებმა და მწვრთნელებმა გააგდეს მოედნიდან, ვიღაც გულშემატკივარმა კი გასახდელის კართან მისულ არბიტრს ზურგში უთავაზა. დუტრამ კომენტარზე უარი განაცხადა და ისე დასტოვა სტადიონი.**

**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა გულშემატკივრებს მოუწოდა, არ დაიზარონ და აუცილებლად დაესწრონ მატჩს ინგლისი — სამხრეთ აფრიკა, რომელიც 24 მაისს მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" გაიმართება.

**ბელგიის თასზე პირველი ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. „ეკერენმა" და „აალსტმა" 0:0 ითამაშეს, „ტიელენმა" კი შინ წააგო „ანდერლეხტთან" 0:1.**

**იტალიაში** „ფიორენტინას" არგენტინელმა თავდამსხმელმა გაბრიელ ბატისტუტამ მარჯვენა ხელი მოიტეხა. ამჯერად ტრავმა საფეხბურთო მოედანთან კავშირში არაა — ჩუსტებში გამოწყობილი გაბრიელი საკუთარ სახლში, ჭიქა ჩაით ხელში დაგორდა კიბეზე. ექიმმა კარლო ბუფალინიმ დაადგინა, რომ ფეხბურთელი, მსუბუქი თაბაშირით ხელშეხვეული, ერთი თვე მის აქეთ-იქით ქნევას უნდა მოერიდოს.



**სამხრეთ ამერიკაში ლიბერტადორესის თასის მეხუთე ჯგუფში ურუგვაის „ნასიონალმა" და კოლუმბიის „დეპორტივო კალიმ" 1:1 ითამაშეს.**

**იტალიაში** „მილანი" 50 მილიონი ლირით, ანუ 30 ათასი დოლარით დააჯარიმეს. მიზეზი: გასულ კვირას „ინტერთან" შეხვედრაში „მილანის" ქომაგებმა მოედანზე მაშხალები ისროლეს. გუნდს სასჯელი ფედერაციამ იმიტომაც დააკისრა, რომ იმავე ქომაგებს ტრიბუნაზე გამოფენილი ჰქონდათ პლაკატი, რომელზეც ეხატა დანა, ჩანგალი და თეფში და ეწერა: „ლორებო, დღეს ჩვენ მენიუში ხართ." თანაც, „ინტერის" ფორმაში გამოწყობილი ათამდე მუყაოს ლორიც აღემართათ. რაც შეეხება „ინტერის" გულშემატკივრებს, მათ მოედანზე ხილი უსვრიათ, რის გამოც 2 500 დოლარით დაუჯარიმეს გუნდი.

# ბევრი პრეზიდენტი და ცოტა ხალხი

— ექვსი თვის წინ ტრაგედია შეგვემთხვა, რომელმაც ბევრი რამ გვასწავლა — თქვა გვატემალის პრეზიდენტმა ალვარო არსუმ „მატეო ფლორესის" სტადიონზე. პრეზიდენტმა ცენტრალური ამერიკის პირველობის საზეიმო გახსნაზე წარმოთქვა ეს სიტყვები, ხალხმა კი იმ დღეს გამართული ორივე შეხვედრის წინ წუთიერი დუმილით პატივი სცა 16 ოქტომბერს გვატემალა — კოსტა რიკის თამაშის წინ ჭყლეტაში დაღუპულ 84 ადამიანს.

მას მერე გვატემალა-სიტის ცენტრში წამოჭიმულ სტადიონს დიდი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. უპირველეს ყოვლისა, მოაწყვეს ისე, რომ საგანგებო შემთხვევისას გულშემატკივრებმა საავარიო გასასვლელებს იოლად მიაღწიონ. შეამცირეს სკამების რაოდენობაც, 40 ათასიანი ნაგებობა ათი ათასით დაპატარავდა, თუმცა გახსნის დღეს 16 ათასზე მეტმა წყეულ ადგილას მაინც ვერ მიბედა. სტადიონს გარეთ ასობით პოლიციელი იცავდა წესრიგს. ასევე იყო ტრიბუნებზეც, მაგრამ ამჯერად ასეთი სიფრთხილე მეტისმეტი გამოდგა, წესრიგი არავის დაურღვევია.

რაც შეეხება შეჯიბრებას: ექვსი გუნდი ორ ჯგუფადაა დაყოფილი. პირველ ჯგუფში არიან კოსტა რიკა, გვატემალა და ნიკარაგუა, მეორეში ჰონდურასი, სალვადორი და პანამა. ერთი წრე ჯგუფთა უძლიერეს ორ გუნდს გაარკვევს, რომლებიც შემდეგ საფინალო, ოთხგუნდიან ჯგუფს შეკრავენ და ასევე, ერთ წრედ გამოავლენენ ცენტრალური ამერიკის თასის მფლობელს.

პირველ დღეს, როგორც გითხარით, ორი მატჩი გაიმართა. თავიდან წინა ჩემპიონატის გამარჯვებულმა ჰონდურასმა 5:0 მოუგო პანამას. ამ შეხვედრაში ოთხი გოლი ჰონდურასელთა თავდამსხმელმა ვილმარ ველასკესმა გაიტანა. მეორე შეხვედრაში კი ერთმანეთის პირისპირ გვატემალა და კოსტა რიკა წარდგნენ, გუნდები, რომელთა თამაშზეც მოხდა ზემოხსენებული ტრაგედია. ანგარიში მე-7 წუთზე გვატემალელმა კარლოს პლატამ გახსნა, პირველი ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი კოსტარიკელმა ალან ოვიედომ გაათანაბრა.

აღსანიშნავია, რომ „მატეო ფლორესის" სამთავრობო ლოჟას, ალვარო არსუს გარდა, ამშვენებდნენ ჰონდურასის პრეზიდენტი კარლოს რობერტო რეინა, კოსტა რიკის პრეზიდენტი ხოსე მარია ფიხუერესი და მათი სალვადორელი კოლეგა არმანდო კალდერონ სოლი.

**პაპუნა ქედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთი

# თავიდან უნდა გაუშვა

XXXIV ტური

**ოვიედო 1:5 რასინგი**

0:1 ბესნასტნიხი (17), 1:1 ივანი (32), 1:2 სალახარი (38), 1:3 მერინო (49), 1:4 კორეა (86), 1:5 კორეა (89)

**ესპანიოლი 0:0 ატლეტიკო**

**ბილბაო 4:0 სპორტინგი**

1:0 ლარასაბალი (24 პ), 2:0 ურსაისი (48), 3:0 ურსაისი (59), 4:0 გერერო (72)

**რეალი 4:2 სევილია**

0:1 ხოსე მარი (2), 0:2 თულიდა (21), 1:2 ზეედორფი (45), რაული (59), 3:2 იერო (83), 4:2 მიატოვიჩი (90)

**ვალიადოლიდი 3:1 ბარსელონა**

0:1 რონალდო (5), 1:1 ფერნანდო (30), 2:1 ვიქტორი (46), 3:1 ვიქტორი (77)

**ბეტისი 2:2 სარაგოსა**

1:0 ალფონსო (4), 2:0 ალფონსო (30 პ), 2:1 ნაიმი (31), 2:2 არაგონი (80 პ)

**დეპორტივო 1:0 კომპოსტელა**

1:0 რივალდო (48)

**რაიო ვალეკანო 1:0 სოსიედადი**

1:0 გილერმე (64)

**სელტა 4:0 ლოგრონიესი**

1:0 დიტუელი (42), 2:0 რევივო (45), 3:0 მაზინიო (80), 4:0 ხელი (90)

**ერკულესი 3:1 ტენერიფე**

1:0 პავლიჩიჩი (23), 2:0 პაკიტო (56), 2:1 კოდრო (60), 3:1 ალფარო (67 პ)

**ესტრემადურა 1:0 ვალენსია**

1:0 ხუანიტო (22 პ)

წამოეწევა — ჩამორჩება, წამოეწევა — ჩამორჩება. მთელი სეზონი ასეა, „ბარსელონა" მადრიდის „სამეფო გუნდის" დაწევას ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს. ამასწინათ, თითქოს ხომ შეუმცირა სხვაობა სამი ქულით, მაგრამ აგერ, ის სამი ქულა ისევ „რეალს" დაუბრუნდა. მოკლედ, ესპანეთის პირველობის ორივე ლიდერი კაი კერკეტი კაკალია. აი, „ბეტისს" კი ძალიან შეეშალა, „სარაგოსასთან" შეხვედრაში რომ არ მოიგო. 2:0-ს იგებდა და ორის გაშვება მოახერხა. თან ვისთან, მე-18 ადგილზე მყოფ გუნდთან. ამ ფრის გამო ორი ქულა რომ არ დაეკარგა, „ბარსას" გადაასკუპდებოდა და იმ მეორე ადგილს შეეთამაშებოდა, მომავალი ჩემპიონთა ლიგისკენ რომ მიდის.

„რეალი" „რეალია". ვითომ დარჩენილ შეხვედრებში ათქულიან უპირატესობას გაფლანგავს და ესპანეთის ჩემპიონის გვირგვინს ოცდამეშვიდედ არ დაიდგამს? საეჭვოა. მითუფრო მას მერე, რაც „სევილიასთან" მეტოქის ორგოლიანი უპირატესობა არად ჩააგდო, ოთხი გაუტანა და გაიმარჯვა. ასეთი რამ მადრიდელებს 15 წელიწადია არ ჩაუდენიათ, მას მერე, რაც ემილიო ბუტრაგენიომ ესპანეთის უმაღლესი დივიზიონის სადებიუტო მატჩში ორჯერ გაიტანა. ბოლოს მაშინ შემოაბრუნეს 0:2.

— ვგრძნობ, რომ ახალი ისტორიის შექმნაში მივიღე მონაწილეობა — განაცხადა „რეალის" იტალიელმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ.

რომ შეხედა 0:2-ს ვაგებთო, კაპელომ ფორმაწახდენილი დავორ შუკერი ახალნაყიდი ბრაზილიელი ზე რობერტოთი შეცვალა. ცვლილებამ ძალები სხვაგვარად გადაანაწილა და ტაიმის მიწურულს რაულის უკუპასით ჰოლანდიელმა კლარენეს ზეედორფმა გაიტანა. სევილიელებმა მსაჯს გადაწყვეტილება გაუპროტესტეს, რაული ოფსაიდში იყოო, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს. ის კი არა, რამდენიმე წამში ხოსე მარი საგოლე პოზიციაზე რომ გაიყვანეს, მსაჯის სასტვენი მოესმათ — ტაიმი დამთავრებულიყო. ამ ამბებმა ეტყობა სამხრეთელებზე ერთობ იმოქმედა, მადრიდელები კი პირიქით, აზრმოკრებილნი გავიდნენ მოედანზე შესვენების შემდეგ და საწადელსაც მიაღწიეს: რაულმა, იერომ და მიატოვიჩმა „სანტიაგო ბერნაბეუზე" შეკრებილი ხალხი სიხარულით ცას სწიეს. ამრიგად, მიმდინარე ჩემპიონატში „რეალმა" მეთერთმეტედ შეძლო ისეთი თამაშის მოგება, რომელშიც პირველი გოლი მათ კარში გავიდა.

ამასობაში კი „ბარსელონას" საპირისპირო შეემთხვა. მე-5 წუთზე რონალდოს გატანილი გოლით კატალონიელები იგებდნენ, მაგრამ...

— მათ ჩვენზე გაცილებით უკეთ ითამაშეს, მეტის გატანაც შეეძლოთ — თქვა მათმა მწვრთნელმა ბობი რობსონმა და დასძინა, თამაშის მსვლელობისას განუწყვეტლივ მატყობინებდნენ „რეალის" თამაშის ამბებსო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 34 | 23 | 10 | 1 | 72:27 | 79 |
| ბარსელონა | 34 | 21 | 6 | 7 | 86:43 | 69 |
| ბეტისი | 34 | 19 | 11 | 4 | 73:36 | 68 |
| დეპორტივო | 34 | 18 | 12 | 4 | 50:24 | 66 |
| ატლეტიკო | 33 | 16 | 8 | 9 | 61:49 | 59 |
| ვალიადოლიდი | 34 | 15 | 9 | 10 | 49:39 | 54 |
| ბილბაო | 34 | 12 | 15 | 7 | 63:49 | 51 |
| ტენერიფე | 33 | 13 | 8 | 12 | 55:41 | 47 |
| სოსიედადი | 34 | 13 | 8 | 13 | 39:38 | 47 |
| ვალენსია | 34 | 13 | 7 | 14 | 52:48 | 46 |
| რასინგი | 34 | 11 | 12 | 11 | 43:39 | 45 |
| სელტა | 34 | 10 | 12 | 12 | 43:42 | 42 |
| კომპოსტელა | 34 | 10 | 10 | 14 | 37:54 | 40 |
| რაიო | 34 | 11 | 6 | 17 | 34:47 | 39 |
| ესტრემადურა | 34 | 10 | 9 | 15 | 29:47 | 39 |
| ესპანიოლი | 34 | 10 | 8 | 16 | 36:46 | 38 |
| ოვიედო | 34 | 10 | 8 | 16 | 35:57 | 38 |
| სარაგოსა | 34 | 8 | 13 | 13 | 43:53 | 37 |
| სპორტინგი | 34 | 9 | 8 | 17 | 35:58 | 35 |
| ერკულესი | 34 | 9 | 4 | 21 | 32:62 | 31 |
| ლოგრონიესი | 34 | 8 | 4 | 22 | 26:71 | 28 |
| სევილია | 34 | 7 | 6 | 21 | 31:60 | 27 |

# თასები, თასები...

## საბერძნეთი

5:3 — ასეთია პენალტების შედეგი, მანამდე კი ძირითადმა და დამატებითმა დრომ უგოლოდ ჩაიარა. მეტოქეები თავიდან ღელავდნენ, გოლის გაშვებას შიშობდნენ, ალბათ ამიტომაც იყო პირველმა ტაიმმა ფაქტობრივად სახიფათო მომენტის გარეშე რომ ჩაიარა. თემურ ქეცბაიას გუნდი მართალია ნახევარდაცვაში ბურთს უკეთ აკონტროლებდა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ეტაპზე ვეღარ აჯობა მოწინააღმდეგის დაცვას. 50-ე წუთზე დანიელ ბატისტამ ვერ გამოიყენა იშვიათი შესაძლებლობა, თექვსმეტი წუთის შემდეგ კი დენის ნიკოლაიდისმა ვერ შეაგდო.

„პანათინაიკოსის" საუკეთესო მომენტები 70-ე და 71-ე წუთებზე შეიქმნა. ორივეჯერ აეკ-ის დაცვა აირია, თუმცა პოლონელმა ფორვარდმა კშიშტოფ ვარუიხამ ვერც პირველი ეპიზოდში ისარგებლა და ვერც მეორეში.

114-ე წუთზე ნიკოლაიდისს კიდევ ერთი მიეცა. საჯარიმოს შიგნიდან მისი დარტყმული იოჟეფ ვანძიკმა მოიგერია. მეკარისგან ასხლეტილ ბურთს კოპიცისმა მიასწრო, მაგრამ კარში შეგდება არც მას მოუხერხდა. პენალტების სერიაში კი გამარჯვებულს კოჭებში ხელად შეეტყო, მაშინ, როდესაც ვარუიხამ პირველივე დაარტყმა ააცილა.

## გერმანია

„შტუტგარტს" შეუძლია ჩემპიონობაც მოიპოვოს და თასიც. უფრო ახლოს თასთანაა, რადგან ფინალში მისი მეტოქე რეგიონალლიგის „ენერგი" იქნება. საამისოდ, ნახევარფინალში „ჰამბურგის" ძლევა გახლდათ საჭირო. ამ ამოცანას „შტუტგარტმა" კარგად გაართვა თავი: მე-15 წუთზე ბალაკოვმა გახსნა ანგარიში და მიუხედავად იმისა, რომ მალე ყოფილმა შტუტგარტელმა პარტმანმა გაქვითა, შნაიდერმა დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე გამარჯვებისა გაიტანა.

— ძალიან გვიხარია, რომ ფინალში კოტბუსის გუნდი გვხვდება, თუმცა მასთან გვითამაშია და ვიცით, რომ ძლიერები არიან — თქვა „შტუტგარტის" თავდამსხმელმა ფრედი ბობიჩმა.

გერმანული თასის ბედი 14 ივნისს მიუნხენის სტადიონზე გადაწყდება.

## თურქეთი

— ბურთი რომ მივიღე, ვიგრძენი, რომ გოლს გავიტანდი — თქვა თურქეთის თასის ფინალში გადამწყვეტი გოლის ავტორმა, „ქოჯაელისფორის" მოთამაშემ ნური ქოლაქმა — მინდა ყველამ იცოდეს, რომ თასების თასზე ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ჩვენი ქვეყანა ღირსეულად წარმოვაჩინოთ.

თამაშის დამთავრებამდე ორი წუთი რჩებოდა და „ტრაბზონსფორმა" შეუტია, ქოლაქი მარცხენა ფრთაზე უმეთვალყურეოდ დარჩა, ბურთი რომ მიიღო, წამით კი იყოყმანა, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც არ დაუგვიანდა, ასე ათი მეტრიდან საუცხოოდ დაარტყა და მარჯვენა ცხრიანი დალაშქრა.

მანამდე საგანგებო არაფერი მომხდარა, მეტოქეებმა დიდი სიმწვავით ვერ გამოიჩინეს თავი. ტრაბზონში პირველ თამაშში კი, როგორც გახსოვთ, 1:1 იყო.

## ინგლისი

**ევერტონი 1:1 ლივერპული**

ევერტონი: საუთჰოლი, ბარეტი, უოტსონი, ანსუორსი, სტიუარტი, შორტი (ბოლი 23), ფერგიუსონი, ბრენჩი, დანი, სპიდი, ტომსენი (ბარმბი 53)

ლივერპული: ჯეიმსი, ჯოუნსი (მაკატირი 75), ბიორნებიუ, კვარმე, ჰარკნესი, რაიტი, რედნეპი, ბარნსი, ტომასი, მაკმანამანი, ფაულერი

გოლი: რედნეპი (26), ფერგიუსონი (65)

ლივერპულელთა 156-ე უსწრაფეს ტემპში დაწყებულ დუელში თავდაპირველად წითლები დაწინაურდნენ, მაგრამ „ევერტონის" გააქტიურებას და მონდომებას ფერგიუსონის გოლი მოჰყვა. მერე ფაულერმა გამოიდო თავი, მაგრამ ორჯერ ძელმა შეუშალა ხელი. 82-ე წუთზე არბიტრმა წაკინკლავებული ანსუორსი და ფაულერი გააძევა.

**ნიუკასლი 3:1 ჩელსი**

ნიუკასლი: ჰისლოპი, უოტსონი, ელიოტი, ბერესფორდი, პიკოკი, ბეტი, ლი, ასპრილია (ჟინოლა 63), გილესპი, ფერდინანდი (კლარკი 78), შირერი

ჩელსი: გროდასი (ფორესტი 36), პ. ჰიუზი (მეიერსი 48), მინტო, ბარლი, ლებეფი, სინკლერი, მორისი, დი მატეო, იონსენი, მ. ჰიუზი (ნიკოლსი 55), ძოლა

გოლი: შირერი (12, 35), ასპრილია (30), ბარლი (62)

დალგლიშის მწვრთნელობაში მეორედ ითამაშა ძირითადში ასპრილია-შირერ-ფერდინანდის სამეულმა. ეს ნიუკასლელებს პირველ ტაიმშივე დაეტყოთ და მეორე ნახევარში ბრძოლამ აზრი დაკარგა. გამოჯანმრთელებულმა და დასვენებულმა შირერმა, მატჩსაც რომ არ ამთავრებს უგოლოდ, ახლაც ორჯერ გაამწარა მეტოქე და სეზონის ყველა შეჯიბრებაში ჩატარებულ 34 მატჩში 26 გოლი მიითვალა. გოლებით დასეტყვილი გროდასი გულიტმა ჭაბუკი ფორესტით შეცვალა და ახალბედამაც კარი მშრალად შეინახა.

**უიმბლდონი 2:0 ლიდსი**

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნზი (კასტელდაინი 50), ლეონარდსენი, ჰოლდსუორსი, გეილი, პერი, ფეარი, მაკალისტერი, ერდლი

ლიდსი: მარტინი, დორიგო, რადებე, უეზეროლი (კელი 77), მოლენაარი, ჰოლი, ბოუერი, უოლესი, შარპი (ლილი 85), რაში, დინი (ლორენი 85)

გოლი: ჰოლდსუორსი (19), კასტელდაინი (74)

მასპინძლებმა ძლიერად ითამაშეს და 14 დეკემბრის შემდეგ შინ პირველი გამარჯვება მოიპოვეს. ავდარმა ამ მეტად საინტერესო მატჩის საცქერლად „უიმბლდონის" ნათხოვარ სტადიონზე სეზონში უმცირესი, ათასი კაცი შეკრიბა.

## პირველი დივიზიონი

**სიტი 3:1 გრიმსბი**

სიტი: მარგეტსონი, ბრაითველი, ჰორლოკი, კლაფი, საიმონსი, ბრენენი, სამერბი, ატკინსონი, კერნაგენი (კრუქსი 46), ქინქლაძე, როსლერი (ჰინი 81)

გოლი: შექსპირი (22), ატკინსონი (52), სამერბი (76, 84)

მასპინძლები თავიდან მდევრის როლში იყვნენ: მარგეტსონი ცნობილი მწერლის მოგვარესთან ვერაფერს გახდა. მანამდე გიოს გუნდს ორჯერ შეეძლო დაწინაურება, მაგრამ სამერბის და ატკინსონის დარტყმები მცველებმა კარის ხაზიდან გამოიტანეს. პირველ ტაიმში რის ვაივაგლახით მოთამაშე სტუმრებს მეორეში სულ მოუღო ბოლო მასპინძელთა შეტევებმა, რომელთა გაძლოლაც გიომ ითავა — ჯერ იყო და, ორი მცველის მოტყუების შემდეგ ატკინსონს გაატანინა, მესამე კი სამერბიმ მას მერე შეაგდო, რაც ჩვენებურმა ბრიტანელები თავისებურად დააწიოკა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 43 | 27 | 12 | 4 | 94:50 | 93 |
| ბარნსლი | 42 | 21 | 13 | 8 | 70:45 | 76 |
| ვულვზი | 42 | 20 | 9 | 13 | 61:47 | 69 |
| შეფილდი | 43 | 19 | 11 | 13 | 73:51 | 68 |
| პორტ ვეილი | 43 | 17 | 15 | 11 | 56:50 | 66 |
| იფსვიჩი | 42 | 17 | 13 | 12 | 63:49 | 64 |
| კრისტალ პალ. | 42 | 17 | 12 | 13 | 71:44 | 63 |
| ტრანმერი | 43 | 17 | 12 | 14 | 58:53 | 63 |
| ნორვიჩი | 43 | 17 | 11 | 15 | 63:63 | 62 |
| პორტსმუთი | 42 | 18 | 8 | 16 | 53:48 | 62 |
| ქუინზ პარკი | 43 | 16 | 12 | 15 | 59:57 | 60 |
| ბირმინგემი | 43 | 15 | 14 | 14 | 47:47 | 59 |
| სტოკ სიტი | 43 | 16 | 10 | 17 | 47:55 | 58 |
| სიტი | 42 | 16 | 9 | 17 | 56:54 | 57 |
| ჩარლტონი | 42 | 15 | 10 | 17 | 49:60 | 55 |
| რედინგი | 42 | 14 | 12 | 16 | 52:59 | 54 |
| ვესტ ბრომვიჩი | 43 | 13 | 14 | 16 | 65:70 | 53 |
| სვინდონი | 43 | 15 | 8 | 20 | 52:67 | 53 |
| ოქსფორდი | 43 | 14 | 9 | 20 | 57:65 | 51 |
| ჰადერსფილდი | 43 | 12 | 13 | 18 | 46:60 | 49 |
| ბრედფორდი | 42 | 10 | 12 | 20 | 43:68 | 42 |
| გრიმსბი | 42 | 9 | 12 | 21 | 53:78 | 39 |
| ოლდემი | 43 | 9 | 12 | 22 | 48:64 | 39 |
| საუთენდი | 43 | 8 | 15 | 20 | 40:76 | 39 |




წამიც და კლერიჯის დარტყმული ბურთი „მიდლსბროს" კარში შევარდება

# რავანელი აატირეს

### ლიგის თასის ფინალი. გადათამაშება

**ლესტერი 1:0 მიდლსბრო**

ლესტერი: კელერი, გრეისონი, უითლოუ (ლოურენსი 109), უოლში, იზეტი, ლენონი, კლერიჯი (რობინსი 117), პარკერი, კამარკი, უოლში, იზეტი

მიდლსბრო: რობერტსი, კოქსი (მური 105), პირსონი, ემერსონი, კინდერი, მასტო, ფესტა (ვიკერსი 76), ჰინეტი (ბექი 105), ბლექმორი, ჟუნინიო, რავანელი

გოლი: კლერიჯი (100)

„მიდლსბროს" თასის აღება არ ეწერა. დანავსულ გუნდს ორივე ფინალური მატჩის დროს უიღბლობა სდევდა. პირველ შეხვედრაში მის მიერ ვერგამოყენებულ რეალურ მომენტებს თვლა არ ჰქონდა. ახლაც, უპირატესობის მიუხედავად, პრემიერლიგის ერთადერთმა უტიტულო კლუბმა „ლესტერს" გაატანა თასი. ამ შეხვედრამდე, შეფილდის „ჰილსბროზე" რომ გაიმართა, გუნდები საკმაოდ გადაღლილები მოვიდნენ, თუმცა, რობსონის ბიჭებისგან განსხვავებით, „ლესტერი" უკეთეს დღეში იყო, რაკი წინა მატჩში გუნდის ძირითადმა ფეხბურთელებმა დაისვენეს და ძალებიც დაზოგეს. „მიდლსბროს" კი ამ თასის პირველი ფინალური მატჩის გარდა ქვეყნის თასის ნახევარფინალშიც ორი საათი მოუხდა ბრძოლა „ჩესტერფილდთან".

მატჩი რომ მეტად დაძაბული იყო, „ლესტერის" მწვრთნელის მარტინ ონილის სიტყვებიც ადასტურებს — კიდევ 5 წუთი და მოედანზე ჩვენგან ორი-სამი მოთამაშეღა დარჩებოდაო. ერთი სიტყვით, უძლიერესმა იმარჯვა, „მიდლსბრომ" კი თავის 121 წლიან ისტორიაში ქვეყნის რომელიმე ჯილდოს პირველად მოპოვების შანსი გაუშვა ხელიდან.

მატჩი სწრაფ ტემპში დაიწყო, რამაც მეტოქეებს არაქათი გამოაცალა და დამატებით დროში მოედანზე მოსიარულე ლანდებად აქცია. ძირითად დროში ჟუნინიოს, რავანელის, ემერსონს და ჰინეტს შეეძლოთ შეგდება, აქეთ ჰესკის, კლერიჯს, იზეტს და უითლოუს ჰქონდათ მომენტები, მაგრამ მეტოქეებს ხან საკუთარი უზუსტობა ვერ აღწევინებდა მიზანს, ხანაც — მეკარეების სიმარჯვე. მოკლედ, ძირითად დროში გოლი არ გასულა. დამატებით დროში გუნდებმა საკუთარ კარზე ზრუნვას უმატეს, ბურთის საჯარიმოში ჩაგდებისას კი ერთობ ფრთხილობდნენ. პირველი დამატებითი ტაიმი რობერტსისა იყო — ბრწყინვალედ მოთამაშე მეკარემ ორჯერ იხსნა კარი ჰესკის ყუმბარისებური დარტყმებისგან. მეორე 15 წუთიანის მეხუთე წუთზე კი კლერიჯმა 1964 წლის შემდეგ პირველად მოუპოვა „ლესტერს" ქვეყნის ერთ-ერთი ტიტული: უოლშის გადაცემით მან მეკარის საჯარიმოდან დაარტყა, მარჯვნივ გადაწოლილი რობერტსი კი თითებითღა წაეპოტინა ბურთს. რამდენიმე წამში „მიდლსბრო" თასზე ოცნებას გამოეთხოვა: ემერსონმა თანამემამულე ჟუნინიოს პასით მეტად საპასუხისმგებლო მომენტში ვერ ივარგა.

ლიგის თასის მოგებით „ლესტერმა" საგაისოდ უეფას თასზე თამაში დაიბევა. „კლერიჯის გოლი დიდხანს ემახსოვრებათ გულშემატკივრებს. ვფიქრობ, ასეთი მომენტები დაუვიწყარია. ჩვენ ევროპაში გავედით! ეს ძალზე დიდი მოვლენაა იმ კლუბის ისტორიაში, რომელიც მხოლოდ წინა წელს გაერია ქვეყნის ელიტარულ გუნდთა მარაქაში. ჩვენ ევროტურნირებზე ვითამაშებთ — ამით ყველაფერია ნათქვამი" — ამ სიტყვებით დაასრულა მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია გამარჯვებულთა მწვრთნელმა მარტინ ონილმა.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**უეფას თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები**

22 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შალკე — ტენერიფე | (1,7-1,9) | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| მონაკო — ინტერი | (4,0-1,2) | 2,0 | 2,9 | 2,9 |

**ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები**

23 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი — დორტმუნდი | (1,8-1,8) | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| იუვენტუსი — აიაქსი | (1,05-10,0) | 1,5 | 3,1 | 5,0 |

**თასების თასი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები**

24 აპრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფიორენტინა — ბარსელონა | (1,8-1,8) | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ლივერპული — პსჟ | (5,0-1,1) | 1,3 | 3,6 | 6,5 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის 16.

# CROCO და ბრიტანული ფირმა Travel Club International

## სუპერ კონკურსი შანსით




ეროვნული ბიბლიოთეკა

### მთავარი პრიზი:

**ერთკვირიანი დასვენება ორ კაცზე სამხრეთ ესპანეთის ხმელთაშუაზღვისპირა ფეშენებელურ კურორტ კოსტა დელ სოლში!**

ახალ წლამდე თქვენთვის სასურველ დროს ივლის-აგვისტოს გარდა

ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო;
ავიაბილეთები: თბ[illegible]ისი-მოსკოვი-მალაგა-მოს[illegible]-თბილისი;
დახვედრა მალაგის აეროპორტში და სასტუმროში მიყვანა

### საგანგებო პრიზი:

ინგლისის ნაკრების ნაღდი მაისური გადაეცემა კონკურსის იმ მონაწილეს, რომელიც ყველაზე მეტ ვარიანტს ითამაშებს.

პატიოსანი თამაშის პრინციპის დასაცავად 26 აპრილის „სარბიელში“ გამოქვეყნდება შემოსულ ვარიანტთა სრული ნუსხა.

## კონკურსში მონაწილეობის წესები

☑ კონკურსის მონაწილემ უნდა შეავსოს ქვემოთ შემოთავაზებული ბილეთი (პასუხი ჩაიწეროს შესაბამის გრაფაში), ამოჭრას და ჩააბაროს შემდეგ მისამართებზე:

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში (პუშკინის ქუჩა №16)

☑ კონკურსის მონაწილეს შეუძლია წარადგინოს ნებისმიერი რაოდენობის ვარიანტი.
☑ თითოეული ბილეთის (ვარიანტის) ღირებულებაა 50 თეთრი, რომელსაც კონკურსის მონაწილე გადაიხდის ბილეთის ადგილზე ჩაბარებისას.
☑ ბილეთები მიიღება 5-დან 20 აპრილამდე ყოველდღე, ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა, 13-დან 16 საათამდე.
☒ მიიღება მხოლოდ „სარბიელიდან“ ამოჭრილი ბილეთები
☑ საკონკურსო ბილეთები დაიბეჭდება „სარბიელში“ 5, 8, 10, 12, 15, 17 და 19 აპრილს.
☑ თუ ხუთივე საკონკურსო კითხვას ორმა ან მეტმა მონაწილემ გასცა სწორი პასუხი, მათ მიიწვევენ ბრიტანული ფირმის თბილისის ოფისში მთავარი პრიზის მფლობელის გამოსავლენად.
☑ თუ ხუთივე საკონკურსო კითხვას სწორად ვერავინ უპასუხა, მაშინ გამარჯვებულად ჩაითვლება ოთხ კითხვაზე სწორი პასუხის გამცემი და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ ბოლო ორ კითხვაზე სწორი პასუხის გამცემთ.

## დღევანდელ „სარბიელში“ გთავაზობთ ორ ბილეთს ანუ ორ შანსს!

❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?
:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?
:

ბილეთის ჩაბარების თარიღი | №

ამ ორ გრაფას მხოლოდ ბილეთის მიმღები ავსებს

ბილეთის ჩაბარების თარიღი | №

სახელი, გვარი
მისამართი ☎
სამსახური

❶ ვინ იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ევროპის 1996 წლის ჩემპიონატზე?

❷ ევროპის საკლუბო თასების მფლობელი რამდენი გუნდია ამჟამად ინგლისის პრემიერლიგაში?

❸ რომელმა ბრიტანულმა გუნდმა ითამაშა პირველად თბილისში ევროტურნირების მატჩი?

❹ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს 30 აპრილის მატჩი?
:

❺ რა ანგარიშით დამთავრდება ინგლის — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა 29 აპრილის მატჩი?
:

ბილეთის ჩაბარების თარიღი | №

ამ ორ გრაფას მხოლოდ ბილეთის მიმღები ავსებს

ბილეთის ჩაბარების თარიღი | №

სახელი, გვარი
მისამართი ☎
სამსახური

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

16 აპრილი

შარლოტი — ბოსტონი 108:102, კლივლენდი — ორლანდო 78:63, დეტროიტი — მილუოკი 92:85, ფილადელფია — ნიუ ჯერსი 113:105, ნიუ იორკი — ატლანტა 96:92, ვაშინგტონი — ინდიანა 103:90, მაიამი — ჩიკაგო 102:92, დალასი — მინესოტა 92:77, პორტლენდი — დენვერი 107:63

17 აპრილი

სიეტლი — დენვერი 108:104, იუტა — გოლდენ სტეიტი 106:93, პორტლენდი — ვანკუვერი 105:73, ლეიკერსი — საკრამენტო 108:99

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| *ჩიკაგო* | 69 | 12 | 85,2 |
| *მაიამი* | 60 | 20 | 75,0 |
| *ატლანტა* | 55 | 25 | 68,8 |
| *ნიუ იორკი* | 55 | 25 | 68,8 |
| *შარლოტი* | 54 | 26 | 67,5 |
| *დეტროიტი* | 53 | 27 | 66,3 |
| *ორლანდო* | 45 | 35 | 56,3 |
| ვაშინგტონი | 42 | 38 | 52,5 |
| კლივლენდი | 41 | 39 | 51,3 |
| ინდიანა | 39 | 41 | 48,8 |
| მილუოკი | 32 | 48 | 40,0 |
| ტორონტო | 28 | 52 | 35,0 |
| ნიუ ჯერსი | 24 | 36 | 30,0 |
| ფილადელფია | 22 | 38 | 27,5 |
| ბოსტონი | 14 | 66 | 17,5 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| *იუტა* | 62 | 18 | 77,5 |
| *სიეტლი* | 56 | 25 | 69,1 |
| *ჰიუსტონი* | 55 | 25 | 68,8 |
| *ლეიკერსი* | 55 | 25 | 68,8 |
| *პორტლენდი* | 48 | 33 | 59,3 |
| *მინესოტა* | 39 | 41 | 48,8 |
| *ფინიქსი* | 39 | 41 | 48,8 |
| *კლიპერსი* | 36 | 44 | 45,0 |
| საკრამენტო | 33 | 47 | 41,3 |
| გოლდენ სტეიტი | 30 | 51 | 37,0 |
| დალასი | 24 | 56 | 30,0 |
| სან ანტონიო | 20 | 60 | 25,0 |
| დენვერი | 20 | 61 | 24,7 |
| ვანკუვერი | 13 | 68 | 16,0 |

*გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ფლეი-ოფში*



# ინგა ჩემპიონია

ჭადრაკის სასახლეში დასრულებულ საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ ორი მოჭადრაკე ლიდერობდა: მაია ლომინეიშვილს და ინგა ხურცილავას 6,5-6,5 ქულა ჰქონდათ. ბოლო ტურში მაიამ წააგო სოფიკო ნიკოლაძესთან, ინგამ კი დაამარცხა თამარ ფაჩულია და პირველი ადგილი დაიკავა.

23 წლის ინგა ხურცილავა პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი.

7 ქულით მეორე იყო ნიკოლაძე. ლომინეიშვილმა, სოფიკო ტყეშელაშვილმა, იამზე თვაურმა და ეკა ჯავახიშვილმა 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს. კოეფიციენტების ცხრილით მესამე ადგილი წილად ლომინეიშვილს ხვდა.


**იყიდება სასწრაფოდ**

3-ოთახიანი ჩეხური პროექტის კუთხის ბინა დიდ დიღომში

ფასი 8 500 დოლარი

66 48 12

*გინდათ იყოთ ჯანმრთელი?*
*გინდათ გქონდეთ ლამაზი აღნაგობა?*
*გინდათ გქონდეთ ლამაზი სახის კანი?*

**მოგვმართეთ!!!**

☎ 98-58-97

დარეკეთ 9⁰⁰-დან 12⁰⁰-მდე

ან 20⁰⁰-დან სანამ არ დაგვყიკავშირდებით






AP sub. Comulopeti

ნიუ ჯერზი — მონრეალი. ეს-ესაა შაიბა მეკარე ბროდომ გაიტანა

# დაიწყო და, რა დაიწყო...

## NHL. სტენლის თასი

მერვედფინალის პირველი მატჩების შედეგები მოულოდნელი არ ყოფილა.

16 აპრილი

**დეტროიტი — სენტ ლუისი 0:2**

**შაიბები: კურტნოლი, ტარჯონი.**

უკვე 42 წელია, დეტროიტის ქომაგები თავისი გუნდისგან თასს ელიან. წინა ორ გათამაშებაში „ფრთები" ძალზე ახლოს იყვნენ მიზანთან და წელსაც ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ითვლებიან, მაგრამ სენტ ლუისელთა თავკაცმა კენევილმა, რომელიც შარშან კოლორადოს მწვრთნელთაგანი იყო, წარმატებით გამოიყენა დეტროიტის წინააღმდეგ შემუშავებული მაშინდელი ტაქტიკა. პირველივე პერიოდში სტუმრებმა ორჯერ გაიტანეს, შემდეგ დაცვასაც მიხედეს და გოლკიპერ ფიურის წყალობით კარი მშრალად შეინახეს. ჯერჯერობით ეს შედეგი ყველაზე მოულოდნელია. შეგახსენებთ, რომ შარშან ეს გუნდები მეოთხედფინალში შეეჯახნენ ერთმანეთს და დეტროიტმა მეშვიდე მატჩის ოვერტაიმში მიაღწია გამარჯვებას.

**დალასი — ედმონტონი 5:3**

**შაიბები: ნიუნდაიკი, ლეჰტინენი, ბასენი, მოდანო, ჯილკრისტი — მარჩანტი, ბუკბერგერი, უეიტი.**

დალასმა ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა და ისეთი პირი უჩანს, არც ახლა აპირებს შეჩერებას. „ვარსკვლავებმა" მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს, თუმცა ედმონტონი, რომელიც 1992 წლის შემდეგ პირველადაა ფლეი-ოფში, მედგრად შეებრძოლა მეტოქეს და მხოლოდ 58-ე წუთზე, დალასელთა ლიდერის — მოდანოს გადამწყვეტი შაიბის შემდეგ დანებდა. მოდანოს პარტნიორმა ლეჰტინენმა 2 (1+1) ქულა დააგროვა.

**კოლორადო — ჩიკაგო 6:0**

**შაიბები: კინი, ოზოლინში, ფორსბერგი (2), რიჩი, ლემიე.**

როგორც ჩანს, ჩიკაგოელებმა მთელი ძალები ფლეი-ოფის საგზურისთვის ბრძოლას შეალიეს (უნდა ითქვას, რომ „ქორებმა" ეს ზედიზედ 28-ედ შეძლეს, რაც ლიგის რეკორდია), ალბათ ამიტომაც იყო, რომ თასის მფლობელს და ჩემპიონს ვერაფერი მოუხერხეს. ბოლო ხანს კორექტულად მოთამაშე „ქორები" ფლეი-ოფში კვლავ გათავხედდნენ, რითაც ისევ თავად იზარალეს — 74 საჯარიმო წუთი მიიღეს. ფორსბერგის (2+0), ოზოლინშის (1+2) და საკიკის ძალისხმევით „ზვავებმა" პირველივე პერიოდში 4-ჯერ დალაშქრა ჩიკაგოს კარი. როგორც ყოველთვის, გამოირჩა მეკარე რუა, რომელმაც თავისი სათასო „მშრალი" სერია 213 წუთამდე გაზარდა და 87 სათასო მოგებით მხოლოდ ლიგის რეკორდსმენს — ნიუიორკელ სმიტს ჩამორჩება, ვინაც ერთი მატჩით მეტს ითვლის.

**ანაჰაიმი — ფინიქსი 4:2**

**შაიბები: სელიანე (2), კარია (2) — რენიკი, ტკაჩუკი.**

ფინიქსის თავკაცებმა ხეირიანი ვერაფერი მოიფიქრეს ანაჰაიმის დამრტყმელი ძალის — კარია-სელიანეს დუეტის გასანეიტრალებლად. მრისხანე ფორვარდებმა (ორივემ 3 (2+1) ქულა დააგროვა) ოთხივე შაიბა მოაწყვეს და „იხვებს" პირველი სათასო მოგება მოუტანეს. ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა ტკაჩუკმა (52 შაიბა) ამათ ერთით უპასუხა.

17 აპრილი

**ნიუ ჯერზი — მონრეალი 5:2**

**შაიბები: როლსტონი (2), ჩიმბერსი, გერენი, ბროდო — კორსონი, ბრიუნე.**

ამ მატჩში ერთობ იშვიათი რამ მოხდა: „ეშმაკთა" გოლკიპერმა ბროდომ, ვისაც, როგორც ჩანს, დარტყმათა მოგერიება მობეზრდა, შეხვედრის ბოლო წუთზე მეტოქის ცარიელი კარი დალაშქრა. სტენლის თასის ისტორიაში ეს მეორე შემთხვევაა (ჩემპიონატში კი მეკარეთა „სნაიპერობას" სამჯერ მოჰყვა შედეგი, თანაც ორჯერ ფილადელფიელმა ჰექსტოლმა იმარჯვა). მანამდე უპირატესობას ნიუჯერზელები ფლობდნენ, მათ პირველ პერიოდში ორი შაიბა შეაგდეს. ასეთ დროს „ეშმაკებს" იოლად მიჰყავთ ხოლმე საქმე გამარჯვებამდე, მაგრამ ამჯერად თავად გაირთულეს მდგომარეობა: მეორე პერიოდში რიცხვმრავლობაში ორი გოლი (!) გაუშვეს და ყველაფერი თავიდან დაიწყეს. და მაინც, მასპინძლები უკეთესნი იყვნენ, რაც შედეგზეც აისახა. „ეშმაკმა" გილმორმა 113-ე სათასო პასი გააკეთა და ისტორიაში მე-7 ადგილზე გადაინაცვლა.

**ბუფალო — ოტავა 3:1**

**შაიბები: ჰოლცინგერი, პლანტი, ბარიჯი — ალფრედსონი.**

ოტაველმა „სენატორებმა" ჩემპიონატის დასასრულს ორჯერ მშრალი ანგარიშით მოიგეს, მაგრამ ბუფალოელებმა თასის ახალბედებს უჩვენეს, როგორ უნდა ფლეი-ოფში თამაში. დაძაბულ ბრძოლაში მასპინძლებმა გარდატეხა ბოლო პერიოდში, ორი გოლის გატანის შემდეგ შეიტანეს.

**ფილადელფია — პიტსბურგი 5:1**

**შაიბები: ფალუნი (2), ლეკლერი, ბრინდამორი, ლინდროსი — იაგრი.**

„მფრინავთა" ლიდერმა ლინდროსმა პიტსბურგთან ჩემპიონატის სამი მატჩი გამოტოვა და ბრწყინვალე თამაშით ახლა ერთბაშად უზღო მეტოქეს — 1 გოლით და 3 შედეგიანი პასით იგი თასის ბომბარდირებს გაუძღვა. „პინგვინები" კი, რომლებმაც სეზონის ბოლოს სტუმრად გამართული 14 მატჩიდან 13 წააგეს, ამჯერადაც უსუსურად გამოიყურებოდნენ.

**ფლორიდა — რეინჯერსი 3:0**

**შაიბები: გარპენლოვი, მიულერი, ნიდერმაიერი.**

მასპინძლების გამარჯვებაში მთავარი წვლილი გოლკიპერ ვანბისბრუკს (მეოთხე „მშრალი" მატჩი კარიერაში) და მცველ შვეჰლას (3 პასი) მიუძღვით. ძალზე უფერულად ითამაშეს გრეცკიმ და ყველაზე სათასო მოთამაშედ მიჩნეულმა მესიემ (იგი ექვს მოგებულ თასს ითვლის).

**სამველ ღარიბიანი**



# ბოლო გამოცდაც ჩაბარდა

ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა საქართველოს ნაკრები მალე ევროპის ჩემპიონატისწინა მოსამზადებელ ეტაპს დაასრულებს და ფინეთში გასაგზავნი გუნდიც საბოლოოდ დაკომპლექტდება. გუნდის შედგენისას მწვრთნელთათვის გადამწყვეტი თუ არა, მეტად მნიშვნელოვანი იქნება წლევანდელ საერთაშორისო ტურნირებზე ქართველ ფალავანთა მონაგარი. ამიტომაც, ახლახან დასრულებული ნორვეგიის საერთაშორისო ტურნირი ნაკრების თავკაცთა ბევრ კითხვაზე გასცემდა პასუხს. ეს ტრადიციული „ნორვეგიის თასი" პრესტიჟულ შეჯიბრად ითვლება. ნორვეგიის ქალაქ ალეურში ჩასულ ჩვენებურებს იქ მასპინძელთა გარდა შვედები, რუსები, ფინელები, პორტუგალიელები და „სამივენაირი" ბალტიისპირელები დახვდნენ. ჩვენები არასრული გუნდით — 6 კაცით გაემგზავრნენ ნორვეგიაში, ყველა დანარჩენი კი სრული შემადგენლობით ასპარეზობდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა, „ნორვეგიის თასი" კი რუსებმა წაიღეს შინ. მესამენი შარშანდელი გამარჯვებულნი ფინელები იყვნენ.

გუნდური შედეგი, ბუნებრივია, ცალკეულ მოჭიდავეთა წარმატება-წარუმატებლობაზეა დამოკიდებული. ქართველთაგან აკაკი ჩაჩუამ და ემზარ მახარაძემ ოქროს მედლები მოიპოვეს, ვაჟა ომანიძემ — ვერცხლის, გიორგი ჯინჭველაშვილი კი ბრინჯაოს დასჯერდა. აკაკი ჩაჩუა ტურნირის საუკეთესო მოჭიდავედაც აღიარეს და საგანგებო ტრადიციული პრიზიც გადასცეს.

სამწუხაროდ, ორი ფალავანი უმედლოდ დაგვირჩა — ხვიჩა ბიჩინაშვილი და ბაკურ გოგიტიძე. ბიჩინაშვილი პირველ წრეში მსაჯთა არაობიექტურობის გამო დამარცხდა რუს მენშიკოვთან. შემდეგ სამი შეხვედრა კი მოიგო, მაგრამ მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კვლავ მსაჯებმა წააგებინეს ნორვეგიელ ოროსონთან. ნორვეგიელებს მთელ ტურნირზე მედლის მოპოვების ეს ერთადერთი შანსი მიეცათ და მსაჯზე ზეწოლის „მასპინძელთა უფლება" ხელიდან არ გაუშვეს.

ბაკურ გოგიტიძე კი პირველსავე შეხვედრაში დაშავდა, ამიტომაც მწვრთნელებმა რისკს თავი აარიდეს და აღარ აჭიდავეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვაჟა ომანიძისა და აკაკი ჩაჩუას გარდა ოთხივე ქართველი ფალავანი თავისთვის არატრადიციულ, უფრო მძიმე წონით კატეგორიაში ასპარეზობდა.

ამჟამად, ნაკრების წევრობის ყველა კანდიდატი თბილისში იმყოფებოდა შეკრებაზე და მისი დასრულების შემდეგ გუნდის ხელმძღვანელები დაასახელებენ იმ მოჭიდავეებს, ვინც ფინეთში, ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს.



# ჯერ ჩვენ, მერე რუსები

გუდაურში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში. სლალომში ცხრა მონაწილე გოგოდან ფინიშამდე მხოლოდ სოფიკო ახმეტელმა მიაღწია. ვაჟებში პირველ ადგილზე ლევან აბრამიშვილი გავიდა, მეორეზე — ზურაბ ჯიჯიშვილი, მესამეზე — ცოტნე ებრალიძე. გიგანტურ სლალომში ჩემპიონი ჯიჯიშვილი გახდა, ვერცხლი და ბრინჯაო დავით ნასყიდაშვილსა და გოდერძი დადვანს ერგოთ. გოგოებში კვლავ ახმეტელმა იმარჯვა, მეორე-მესამე ადგილებზე კი ნინო კუპრაძე და ილონა ასლანიანი გავიდნენ.

საქართველოს ჩემპიონატს რუსეთის ღია პირველობა მოჰყვა, რომელიც მსოფლიოს სამთო-სათხილამურო ფედერაციის ეგიდით ჩატარდა. ზურაბ ჯიჯიშვილმა 53 მონაწილეს შორის მესამე ადგილი დაიკავა სწრაფდაშვებაში, სუპერ-გიგანტში კი მერვე იყო.

# სოფიკოს თურქული სალამი

თურქეთის ქალაქ არზრუმთან მდებარე სამთო-სათხილამურო კურორტ პალან დოკენში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ათი ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. სლალომში ყველას აჯობა სოფიკო ახმეტელმა, სუპერ-გიგანტში კი იგი მეოთხე იყო.



# ყოჩაღ, ვარიანელებო

ჯერ კიდევ შარშან დაიქადნა გიორგი კანდელაკმა — ჩემი სოფელი ვარიანი ჩვენი კრივის მექად უნდა ვაქციოო. თქვა და ჩანაფიქრის ხორცშესხმასაც შეუდგა: ვარიანში კრივის კლუბი „ჩემპიონი" დააარსა და ასოცამდე ახალბედა, კრივზე შეყვარებულ თანასოფლელ ყმაწვილს მოუყარა თავი, ენთუზიასტი მწვრთნელებიც მოძებნა და ამით ამ საშურ საქმეს საფუძველიც ჩაუყარა. ახლახან თავისი გეგმის მთავარი ნაწილის განხორციელებაც დაიწყო: სამშენებლო მასალის ნაწილი მოიტანა და სადაც არის, კრივის კომპლექსის მშენებლობას დაიწყებს საკრივო დარბაზით, საუნით, ფიზიკური მომზადების ცენტრით, სპორტული თამაშების მოედნითა და ყველა სხვა აუცილებელი ატრიბუტით. თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა გულისხმიერი ადამიანის მცირედ დახმარებას, ჯერჯერობით გიორგი კანდელაკმა მხოლოდ საკუთარი სახსრებით მოახერხა საქმის ადგილიდან დაძვრა. იმედია, გამოჩნდება ვინმე და კრივზე ამ თავგადაკლულ ახალგაზრდას ფინანსურად შეეწევა, რათა ეს საშური საქმე დროულად და ღირსეულად დასრულდეს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელს გიორგი კანდელაკს რომ მშენებლობის გარდა უამრავი საქმე აქვს, ამას ვარიანში ამასწინათ გამართული ტურნირიც მოწმობს: გიორგიმ სანაკრებოდ ნიჭიერ მოკრივეთა შერჩევის მიზნით „ჩემპიონში" თავისი პირველი მწვრთნელის გიორგი კარელიძის სახელობის ტურნირი გამართა, რომელშიც ვარიანისა და თბილისის 2-2 ნაკრების გარდა გორის, ქუთაისის და თელავის თითო გუნდი მონაწილეობდა. 17 წონითი კატეგორიიდან ათში ვარიანელებმა იმარჯვეს, სამი ჩემპიონი გორელებმა მიითვალეს, თბილისელები და ქუთაისელები კი 2-2 გამარჯვებულს დასჯერდნენ. გუნდური ჩემპიონობაც, ბუნებრივია, ვარიანელებმა ირგუნეს, მეორე-მესამე ადგილებზე შესაბამისად, გორელი და თბილისელი სპორტსმენები გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ თბილისიდან და ქუთაისიდან ჩამოსული ორმოცდაათამდე ახალგაზრდა მოკრივე და მათი მწვრთნელები ვარიანში კლუბ „ჩემპიონის" ხარჯით ცხოვრობდა ტურნირის დღეებში.

რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებს, გუნდი ამჟამად ქუთაისში იმყოფება შეკრებაზე. სამწუხაროდ, ევროპის ჩემპიონატის წინ ჩვენს ნაკრებს საერთაშორისო ტურნირზე წასვლა არ უხერხდება, ამიტომ საევროპისჩემპიონატოდ ძალების ბოლო მოსინჯვა სომხეთში გადაწყვიტეს: 22 აპრილს ერევანს ეწვევიან, სომეხთა ახალგაზრდულ ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავენ და ინგლისის ევროპის ჩემპიონატისთვის გუნდიც ამის შემდეგ დაკომპლექტდება.

# შეკრებაზე სტამბოლში

კრივის ფედერაცია ნიადაგ იმის ცდაშია, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისგან ბოძებული მწირი ბიუჯეტი მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენოს და ნაკრები გუნდები წლევანდელი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის ნორმალურად მოამზადოს. ახლაც, ფედერაცია ორიოდ დღეში საქართველოს მოკრივეთა ნაკრებს სტამბოლს გაამგზავრებს. იქ მოკრივეები ათდღიან შეკრებას გაივლიან და 29 აპრილს სტამბოლის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ. ზემოხსენებულ მიზეზთა გამო მხოლოდ 6 მოკრივე და ნაკრების უფროსი მწვრთნელი ზურაბ გუნია ეწვევიან თურქეთს — სრული გუნდის დაფინანსება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა, თუმცა, თავად ნაკრების წევრები და კანდიდატები, ვინც ამჯერად სათურქეთო ნაკრების მიღმა დარჩა, სტამბოლს წასვლას თუ მოისურვებენ და საამისო თანხასაც თავად იშოვნიან, მათ სურვილს წინ არავინ დაუდგება.



# ვიცე-პრეზიდენტი იტალიაში

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი თამაზ იმნაიშვილი იტალიას გაემგზავრა ქალაქ ლონატოში მესტენდურთა მსოფლიო თასის ეტაპზე საასპარეზოდ. იმნაიშვილს დღეს და ხვალ მოუწევს სროლა, შინ კი 21 აპრილს დაბრუნდება.

# ტელევიზია

## საქართველოს დროით!

დღეს, შაბათს, 19 აპრილს

10.15 მოტოციკლი: იაპონიის დიდი პრიზი. სუძუკადან. 250 და 500 კუბ. სმ კვალიფიკაცია (პ); 12.30 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ“; 13.00 ჩოგბურთი: იაპონიის ღია პირველობა. ტოკიოდან. ვაჟთა ნახევარფინალები: კრაიჩეკი — რაფთერი, იოჰანსონი — რუ; 16.00 მოტოციკლი: იაპონიის დიდი პრიზი (-); 17.00 ჩოგბურთი: ბარსელონა. „სით გოლოს“ ვაჟთა ღია პირველობა. ნახევარფინალები (პ); 21.00 ცურვა: მოკლე აუზის მსოფლიო პირველობა. გეტებორგიდან (შვედეთი) (პ); 23.00 ფეხბურთი: საფრანგეთის თასის ნახევარფინალი. გინგამი — მონპელიე; 1.00 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი. მონტე-კარლოდან (პ); 2.00 მოტოციკლი. იაპონიის დიდი პრიზი (-) და ჟურნალი „პოულ“; 3.00 ტანთ-ქანდაკება (ბოდი-ბილდინგი): ევროპის პირველობა. ლინციდან (ავსტრია); 4.00 ბუნიკობანა (დართსი): ევროპის დიდი პრიზი. ფრანკფურტიდან (გერმანია) (5.00-მდე)

ხვალ, კვირას, 20 აპრილს

7.00 მოტოციკლი: იაპონიის დიდი პრიზი (პ); 11.00 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი. დენბოსხიდან (ჰოლანდია); 12.00 ჩოგბურთი: იაპონიის პირველობის ფინალი; 14.00 მოტოციკლი: იაპონიის დიდი პრიზი (-); 15.00 სპორტული სიარული: ІААФ-ის მსოფლიო პირველობა. პრაღიდან (პ); 16.00 მოტოციკლი: იაპონია (-); 17.30 ჩოგბურთი: ბარსელონის ტურნირის ფინალი (პ); 21.00 ცურვა: გეტებორგი (პ); 23.00 ავტორბოლა, ნასკარის ვინსთონის სერიალი. „გუუდის 500“. მარტინსვილიდან (აშშ) (პ); 1.30 მოტოციკლი: იაპონია (-); 3.30 კრივი (4.30-მდე)

ზეგ, ორშაბათს, 21 აპრილს

11.30 მოტოციკლი: იაპონია (-); 13.30 ჩოგბურთი: მონტე-კარლოს ღია პირველობა. I დღე (პ); 21.00 ფეხბურთი: მსოფლიო პირველობების ლეგენდები; 22.00 „სუპერ-სპორტი“: მსოფლიო სერიალი. მილანოდან (იტალია); 23.00 ავტოჟურნალი „ჩაუქი სამყარო“; 1.00 ჩოგბურთი: მონტე-კარლო (რ); 2.00 საფეხბურთო ჟურნალი „ევრო-გოლები“; 3.00 სნუქერი (ბრიტანული ბილიარდი): ევროპის ლიგა (4.30-მდე)

მაზეგ, სამშაბათს, 22 აპრილს

11.30 საგზატკეცილო ველორბოლა: ლიეჟ — ბასტონ — ლიეჟი; 12.30 ფეხბურთი: მსოფლიო პირველობების ლეგენდები; 13.30 ჩოგბურთი: მონტე-კარლო. II დღე (პ); 21.00 სამოტოციკლო ჟურნალი „თვლები“; 21.30 ტრაქტორობანის სეზონი (მ); 22.30 საგიუმაყო ჟურნალი „სრბოლა“; 23.00 კრივი: ბრიტანეთის თანამეგობრობის „ველთერ“-წონის ჩემპიონობაზე. ბ. პოლი — ფ. ბეალია. ლონდონიდან; 1.00 ჩოგბურთი: მონტე-კარლო (რ); 1.30 ფეხბურთი: უეფა-ს თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩები; 3.00 კალათბურთი: ვაჟთა ევროლიგის ფინალური ოთხეული. ოლიმპია — ოლიმპიაკოსი, ვილერბანი — ბარსელონა. რომიდან (4.30-მდე)

ყოველდღე

2.30 და 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 16.30 და 19.30 (11.30-ის გამეორება)

# მძლეოსნობა

## ვაკეში

„ერთგულების თასის“ გათამაშება ოფიციალურად ქვია, თორემ ყველანი „ლექსოს კროსად“ მოიხსენიებენ. ყველაში იმ ხალხს ვგულისხმობთ, ყოველ გაზაფხულს რომ არ მოაკლდება გარბენს — მაშინაც კი, თუ თავად ან არ, ან ვერ, ანაც ველარ მონაწილეობს.

დიახ, ეს უკვე ზედიზედ მე-18-ედ მძლეოსნობის დიდი ენთუზიასტი, პროფესიით გეოლოგი ლექსო ბურნაძე აწყობს კროსს, რომლის მონაწილეთა, მსაჯთა და მაყურებელთა სულისკვეთება ზუსტად შეეფერება იმას, ბოლო ათწლეულებში დიდ სპორტში ფულისა და კომერციის შეჭრამ რომ მოსპო. „ლექსოს კროსი“, თუ არა ვცდებით, მთელი საქართველოს მასშტაბით უპირველესი სამოყვარულო შეჯიბრია, თუმცა მის მონაწილეებს ფასიანზე რომ არა ვთქვათ, ფულადი ჯილდოებიც კი ერგებათ ხოლმე.

ბოლო ხანებამდე კროსს ლექსო მარტო ატარებდა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალად სპონსორის საჭიროებაც გაჩნდა. წელს ეს მისია პირველად იკისრა „ელიზმა“, ვისაც წარდგენა არა ჭირდება.

ბოლო წლებია, კროსის მონაწილეთა კონტინგენტში წვრილფეხობა ჭარბობს. ეს მეტად სასურველი ტენდენციაა. შეიმჩნევა შედეგთა ლიანგური გაუმჯობესებაც, რაც ჩვენი ყოფა-ცხოვრების გამოკეთების პირდაპირი შედეგია. ისე კი, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა ყველა დროის უკეთეს შედეგთა სამეულები ბარემ 10 წლის წინაა გახერხებული.

დასასრულ შევნიშნოთ, რომ ხვალ კროსი რაგინდარა ამინდში (თუნდაც ავდარში) გაიმართება!

კვირას, 1997 წლის 20 აპრილს
სირბილის მოყვარულთა კლუბი „კუ“
მართავს
**ერთგულების თასის**
მძლეოსნურ კროსს



| | |
|---|---|
| ტრასა: | ვაკის პარკის ხეივნებში |
| დისტანცია: | 4 წრე - 5 240 მეტრი |
| სტარტი: | 11 საათზე |

## ლონდონში

წინა კვირას ლონდონშიც ტრადიციული, მე-17 გარბენი იყო, ოღონდაც მარათონი (42 კმ. და 195 მ). რაკი ერთი კვირით ადრე ირლანდიელმა ექსტრემისტებმა ლივერპულის სტიპლ-ჩეისი ლამის იყო ჩაშალეს, პოლიცია ფეხზე დადგა და „სათანადო ზომებიც მიიღო“. ამჯერად კრიმინალური არა მომხდარა რა, თუკი სათვალავში არ ჩავაგდებთ 44 წლის ინგლისელი ჯეიმზ ჰერბერთის დაღუპვას, ვისაც შუა დისტანციაზე კოლაფსი მოუვიდა და სული ჰოსპიტალში დალია. იგი ლონდონის მარათონების მეხუთე მსხვერპლი შეიქნა.

ელიტიდან გარბენში მონაწილეობდა 98 ვაჟი და 36 ქალი. მათ გარდა სტარტზე კიდევ 29 ათასი მოხალისე გავიდა, რაც რეკორდი ყოფილა.

ორგანიზატორებმა ფული არ დაიშურეს და ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონი, სამხრეთაფრიკელი ზანგი ჯოზაია თუგვანე სარბენად 100 ათას გირვანქად დაიყაბულეს. სამაგიეროდ, ამჯერად არ უასპარეზია ბოლო სამი წლის უცვლელ გამარჯვებულს, მექსიკელ დიონისიო სერონს.



თუგვანე თავიდანვე წინ გაიჭრა, მაგრამ 35 კილომეტრის შემდეგ ველარ გაუძლო და საბოლოოდ III ადგილს დაჯერდა. ამ დროს იყოხალა 1992 წლის ჩემპიონმა, პორტუგალმა ანტონიუ პინტუმ, ნახევარ-მარათონის მსოფლიო ჩემპიონს, იტალიელ სტეფანო ბალდინის გაუსწორდა, ფინიშთან კი მასვე სპრინტით მოუგო. მსგავსი დრამა დატრიალდა ქალთა ფინიშზეც — კენიელმა ჯოის ჩეპჩუმბამ შარშანდელი მარცხისთვის სამაგიერო გადაუხადა ბრიტანელ ლიზ მაკქოლგანს.

ვაჟები. 1. პინტუ (პორტუგალია) 2 საათი: 07 წუთი. 55 წამი; 2. ბალდინი 2:07.57; 3. თუგვანე 2:08.06; 4. ერიკ კიმაიო (კენია) 2:08.08; 5. რიჩარდ ნერურკარი (ბრიტანეთი) 2:08.36; 6. სთივ მონიგეთი (ავსტრალია) 2:08.45

ქალები. 1. ჩეპჩუმბა 2:26.51; 2. მაკქოლგანი 2:26.52; 3. ლიდია სიმონი (რუმინეთი) 2:27.11; 4. სონია კროლიკი (გერმანია) 2:28.02; 5. რამილია ბურანგულოვა (რუსეთი) 2:28.07; 6. მარია მაშადუ (პორტუგალია) 2:28.12

# ტელევიზია

## საქართველოს დროით!

საბურთალო — ვერე — ვაკის VII არხით

დღეს, შაბათს, 19 აპრილს

8.30 კალათბურთი: ნბა (მ); 9.00 კრიკეტის კვირეული (მ); 9.30 აზიური ფეხბურთის სეირი; 10.30 ინდური სპორტი (მ); 11.00 ფეხბურთი: ესპანეთის ლიგა (მ); 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 12.30 კრიკეტი: ვესტ-ინდოეთი — ინდოეთი. V ტესტი. გაიანადან. II დღე (რ); 13.30 ნბა (-); 14.00 კრიკეტის კვირეული; 14.30 რესლინგი; 15.30 ომეგას ტური. ბირმის ღია პირველობა (რ); 16.30 აზიური ფეხბურთის სეირი; 17.30 აზიური სპორტის სეირი; 18.00 კრიკეტი: II დღე (რ); 19.00 კრიკეტი: III დღე (პ); 21.00 კრიკეტის კვირეული; 21.45 კრიკეტი (გ); 2.00 კრივი: იუბენქი — ალარკონი; 4.00 სქვოში: მსოფლიო ტური; 4.30 რესლინგი; 5.30 კალათბურთი: ნბა-ს კვირის მატჩი. ჩიკაგო — ნიუ-იორკი (პ)

ხვალ, კვირას, 20 აპრილს

8.00 აზიური სპორტი; 8.30 მოტოციკლი: იაპონიის დიდი პრიზი. სუძუკადან (პ) (11.00 125 კუბ. სმ ჩანაწერი); 12.00 გოლფი: პროფ-ტური (მ); 12.30 კრიკეტი: III დღე (რ); 13.30 აზიური ფეხბურთი; 14.30 რესლინგი; 15.30 აზიური სპორტი; 16.00 ნბა: ჩიკაგო — ნიუ-იორკი (-); 18.00 კრიკეტი: III დღე (რ); 19.00 კრიკეტი: IV დღე (პ); 21.00 აზიური სპორტი; 21.30 კრიკეტი (გ); 2.00 ნბა: ჩიკაგო — ნიუ-იორკი (-); 4.00 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 5.00 ცხენოსნობა: ვოლვოს ტური; 6.00 სქვოში: მსოფლიო ტური; 6.30 კრიკეტი: IV დღე (რ)

ზეგ, ორშაბათს, 21 აპრილს

7.30 კრიკეტი: Іკკ-ის თასი. მეოთხედფინალი; 13.30 კრიკეტი: IV დღე (რ); 14.30 საგზატკეცილო ველორბოლა: ბრიტანეთის თანამეგობრობის ბანკის კლასიკური; 15.30 ცხენოსნობა: ვოლვო; 16.30 მსოფლიო სპორტი (მ); 17.30 გარსაქვეყნო აფროსნობა; 18.00 კრიკეტი: IV დღე (რ); 19.00 კრიკეტი: ბოლო, V დღე (პ); 21.00 ფეხბურთი: ესპანეთი (-); 21.30 კრიკეტი (გ); 2.00 13-კაცა რაგბი: სუპერ-ლიგა; 4.00 მიდას თასი; 5.30 წყალქვემარდობის სამყარო; 6.30 კრიკეტი: V დღე (რ)

მაზეგ, სამშაბათს, 22 აპრილს, შუადღემდე

7.30 მოტოციკლი: სუპერ-ბაიკი. სან-მარინოს დიდი პრიზი (რ); 9.00 მსოფლიო სპორტი (მ); 10.00 ფეხბურთი: ესპანეთი (-); 10.30 13-კაცა რაგბი: სუპერ-ლიგა; 12.30 კრიკეტი: V დღე (რ); 13.30 ინდური სპორტი

(-) იგივე; (გ) გაგრძელება; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული


„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90




## ჯეკი რომ არა

15 აპრილს დიდი ყეენობა გაიმართა ნიუ-იორკში. კეტბურთზე მიბრძანდა თავად აშშ-ის პრეზიდენტი ბილ ქლინთონი, რომელიც ხშირად იმეორებს, ბეისბოლი ერის საუნჯეაო.

საზოგადოება ზეიმობდა საზოგადოდ სპორტში, კერძოდ კი ბეისბოლში რასობრივი ბარიერის დამსხვრევის 50 წლისთავს. 1947 წლის 15 აპრილს მომხდარა პირველად, რომ ზანგს — ჯეკი რობინსონს უთამაშია „ბრუკლინ დოჯერზის“ შემადგენლობაში. არადა, დღეს ამერიკული პროფესიული სპორტი უზანგებოდ წარმოუდგენელია.

ჯეკის გახსენებაზე ქლინთონმა პატივი მიაგო მის ქვრივ რეიჩელს (აპ-ის ფოტო)

რაგბის კლუბი „ყოჩები“ აცხადებს 1987-88 წლებში დაბადებული ბიჭების მიღებას.



მწვრთნელ ნუგზარ მალაღურაძეს შვილებითურთ მიაკითხეთ ორშაბათს, ოთხშაბათს ან პარასკევს, დღის 5 საათიდან, ვაკის სტადიონის ტაბლოსთან.

# რალი

## ლიატის უიღბლობა ქირს

იტალიელი პიერო ლიატი „სუბარუში“ ოდენ მესამე ნომერია. გუნდის უფროსობა მასზე უწინარეს ბრიტანელ კოლინ მაკრეისა და შვედ კენეთ ერიქსონს აყენებს, მაგრამ რაკიღა სეზონის სტარტზე მონტე-კარლოში გამარჯვებული ლიატი ასფალტზე ასპარეზობის ოსტატად ითვლება, კატალონიის რალზე შვედის ნაცვლად იგი გაიყვანეს. იტალიელსაც ცდა არ დაუკლია, მაგრამ შარშანდელისა არ იყოს, გამარჯვებულთან წელსაც იოტისოდენი, 7 წამი წააგო. განსხვავება ის იყო, რომ მაშინ მაკრეიმ გაიმარჯვა, ახლა — შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა და წლევანდელი ჩემპიონატის ლიდერმა, ფინელმა თომი მაკინენმა (მიცუბიში).

**პირველობის V რალი — კატალონიისა**
ესპანეთი; იორეტ-დე-მარის შემოგარენი
1 359 კმ; 18 სპეც-ეტაპი — 387 კმ

I დღე. 14. 04. 6 ეტაპი (115 კმ): 1. მაკრეი (ბრიტანეთი, სუბარუ) 1 საათი: 14 წუთი. 17 წამი; 2. ლიატი (იტალია, სუბარუ) ჩამორჩა 1 წამით; 3. მაკინენი (ფინეთი, მიცუბიში) .12; 4. ანჯელო მედეგინი (იტალია, სუბარუ) .48; 5. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) .56; ... 9. ჟილ პანისი (საფრანგეთი, პეჟო) 2.09

მასპინძელთა ფავორიტ კარლოს საინსის „ფორდს“ ძრავი ძველი ჰქონდა, შასი — ახალი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი წელს წინა ორ რალში გავარდა, ამჯერად კი მის მანქანას მუხრუჭი გაუმიზეზდა.

თავიდან მოულოდნელად დაწინაურდა ფრანგი ფრანსუა დელეკურის „პეჟო“, III ეტაპიდან კი მოწინავე პოზიცია მისმა თანაგუნდელმა პანისმ გადაიბარა. ამას დღის ბოლო ეტაპზე საბურავი დაეშვა, რის შედეგადაც ორ მოწინავე ადგილზე „სუბარუ“ დამკვიდრდა, თუმც კი ლიატის პირველსავე ეტაპზე უმტყუნა საბურავმა.

II დღე. 15. 04. კიდევ 7 ეტაპი (171 კმ): 1. მაკინენი 3:03.56; 2. ლიატი იგივე დრო; 3. პანისი 2.30; 4. მაკრეი 3.32; 5. მედეგინი 3.37; ... 10. საინსი 6.33

მაკრეის XI ეტაპზე ისევ დაეშვა საბურავი და ჩამორჩა. საინსს კვლავ აურია მანქანამ. მაკინენი ჟიურიმ ლიდერად იმიტომ გამოაცხადა, რომ დღის ბოლო ეტაპი ლიატიზე მარდად გაიარა.

III დღე. 16. 04. ბოლო 5 ეტაპი (101 კმ): 1. მაკინენი 4:08.46; 2. ლიატი .07; 3. პანისი 3.09; 4. მაკრეი 3.34; 5. მედეგინი 5.05; 6. რუი მადერა (პორტუგალია, სუბარუ) 6.26 ... 10. საინსი 9.57. მაკრეიმ დილითვე აინაზლაურა დანაკლისი. მაკინენმა წელს ზედიზედ მეორე რალი მოიგო და ქულებით მეტად დაწინაურდა.



მაკინენი (მარჯვნივ) და მისი თანა-მძღოლი სეპო ჰარიანე კატალონიაში გამარჯვებას შამპანურის სხურებით ზეიმობენ (როიტერი)

მსოფლიო პირველობა. პირადი: მაკინენი 28 ქულა; ლიატი და მაკრეი 16; საინსი 12; არმინ შვარცი (გერმანია, ფორდი) 11; ერიქსონი (შვედეთი, სუბარუ) 10 ...

გუნდური: სუბარუ 42, მიცუბიში 36, ფორდი 23

შემდეგი რალი — კორსიკისა 4-8 მაისსაა.

# ჩოგბურთი

## ბორისიც გავარდა და ბევრი მისთანაც მიყვა

ტოკიოში, იაპონიის ღია პირველობის III წრეში მაინც გავარდა გერმანელი ბორის ბეკერი (2), რომელსაც თუმც აღარ ტკივა მაჯა, მაგრამ ახლა იძო აწუხებს. ბორისმა 6:4, 3:6, 1:6 წააგო ლიონელ რუსთან, მსოფლიოს 86-ე ჩოგანი რომაა.

ბეკერი ორშაბათიდან მონტე-კარლოში თამაშს მაინც აპირებს. იქვე, მაიქლ ჩანგის (აშშ) გამოკლებით, კლასიფიკაციის მოწინავე ათეულის ყველა წევრი შეიკრიბება. იასპარეზებს თვით პიტ სამრასი, ვისაც ტრავმის გამო ჰონკონგისა და ტოკიოს ტურნირები გაუცდა.

გუშინ, ტოკიოში, მეოთხედფინალში შეიბმებოდნენ: რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 1) — დავიდ პრინოზილი (გერმანია, 8), თოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია, 4) — პატ რაფთერი (ავსტრალია, 6); თომას იოჰანსონი (შვედეთი, 5) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია, 13), მარტინ დამი (ჩეხეთი, 7) — რუ (16)

განთესილთა უფრო გამალებული სხეპვა გახურდა ბარსელონაში. ორშაბათს მარკ-კევინ გელნერმა (გერმანია) 6:4, 2:6, 6:2 გააგდო მასპინძელთა სიამაყე სერხი ბრუგერა (10), ხოლო გილბერტ შალერმა (ავსტრია) 6:2, 6:2 — მიხაელ შტიხი (გერმანია, 15). სამშაბათს გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 3) და ვეინ ფერერა (სამხრეთი აფრიკა, 6) რომ გავარდნენ, გუშინწინ გვეწერა. მათ იმავე დღეს მიყვა ესპანელი ალექს კორეჩა, ვინაც წინა კვირას ეშტორილის ტურნირი მოიგო, ახლა კი პირველსავე წრეში 5:7, 6:2, 4:6 წააგო ანდრეი მედვედევთან (უკრაინა).



კიკინებიანი რიოსი ისე გაახელა ვიღაც ესპანელთან წაგებამ, რომ სიმწრით ბურთიც ჩაკბიჩა (როიტერი)

ოთხშაბათს, მეორე წრეში გაასვენეს ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 2) და მარსელო რიოსი (ჩილე, 5). პირველი 3:6, 6:2, 6:3 განგმირა მაგნუს ლარსონმა (შვედეთი), მეორე კი 133-ე ჩოგანმა, ესპანელმა ალბერტ პორტასმა 7:5, 7:6 (7-3) გააგდო. ამ დღეს წინა ორი წლის ჩემპიონი თომას მუსტერი (ავსტრია, 1) 6:4, 6:4 მოერია ურუგვაელ მარსელო ფილიპინის, მაგრამ ხუთშაბათს, ქარში, მერვედფინალში ველარ ივაჟკაცა და 6:7 (4-7), 4:6 დამარცხდა ფრანგ სედრიკ პიოლინთან. თომასმა ნამატჩევს თავი იმართლა, სეზონი 48 კვირა რომ გრძელდება, ჩავარდნა ხანდახან გარდაუვალიაო.

გუშინ, მეოთხედფინალში თამაშობდნენ: პიოლინი — ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 7), მედვედევი — კარლოს მოია (ესპანეთი, 4); პორტასი — ქარიმ ალამი (მაროკო), ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი, 9) — ფერნანდუ მელიჟენი (ბრაზილია)


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მჭეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29